

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს

მეხუთე სექციის

გადაწყვეტილება

საქმეზე „მინდაძე და ნემსიწვერიძე საქართველოს წინააღმდეგ“

(საჩივარი №21571/05)

2017 წლის 1 ივნისი

ქ. სტრასბურგი

ეს გადაწყვეტილება საბოლოო გახდა კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ შესწორებას.

საქმეზე „მინდაძე და ნემსიწვერაძე საქართველოს წინააღმდეგ“,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (მეხუთე სექცია) პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ანგელიკა ნუსბერგერი, თავმჯდომარე

ნონა წოწორია,

ანდრე პოტოკი,

იონკო გროზევი,

მარტინს მიტსი,

გაბრიელ კუცსკო-შტადლმაიერი,

ლატიფ ჰუსეინოვი, მოსამართლეები,

და მილან ბლაშკო, სექციის განმწესრიგებელი მოადგილე,

2017 წლის 2 მაისს გამართული დახურული თათბირის შემდეგ, გამოიტანა შემდეგი გადაწყვეტილება, რომელიც იმავე დღეს იქნა მიღებული:

პროცედურა

1. საქმის წარმოება დაიწყო საქართველოს ორი მოქალაქის, ბ-ნი დავით მინდაძისა („პირველი მომჩივანი“) და ბ-ნი ვალერიან ნემსიწვერიძის („მეორე მომჩივანი“) მიერ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად საქართველოს წინააღმდეგ 2005 წლის 9 მაისს სასამართლოში შეტანილი საჩივრის (№21571/05) საფუძველზე.

2. მომჩივნებს წარმოადგენდა ქ-ნი თ. გაბისონია და ქ-ნი მ. გიოშვილი, ადვოკატები, რომლებიც თბილისში საქმიანობენ. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა სახელმწიფო წარმომადგენელი იუსტიციის სამინისტროდან, ბ-ნი ლ. მესხორაძე.

3. კერძოდ, მომჩივნები აცხადებდნენ, რომ პირველი მომჩივნის დაკავებისას მის მიმართ ადგილი ჰქონდა პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობას, ორივე მომჩივნის წინასწარი პატიმრობის პირობები და პერიოდი იყო არასათანადო და უკანონო, რიგი განჩინება პატიმრობის შესახებ არასაკმარისად იყო დასაბუთებული და ორივე მომჩივნის წინააღმდეგ წამოწყებული სისხლის სამართლებრივი დევნა იყო უსამართლო.

4. 2009 წლის 17 ნოემბერს სასამართლომ მიიღო ნაწილობრივი მიუღებლობის გადაწყვეტილება და საჩივრის შესახებ აცნობა მთავრობას.

ფაქტები

I. საქმის გარემოებები

5. მომჩივნები დაბადებულნი არიან 1977 და 1979 წლებში და ცხოვრობენ თბილისსა და წყალტუბოში.

ა) მომჩივანთა დაკავება და წინასწარი საგამომიებო მოქმედებები

6. 2004 წლის 20 იანვარს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე დაუდგენელი პირების წინააღმდეგ საქართველოს პარლამენტის წევრ („პარლამენტის წევრი“) კ. გ.-ზე შეიარაღებული თავდასხმის შემდეგ.

7. 2004 წლის 4 თებერვალს დაზარალებული პირველად იქნა დაკითხული გამომძიებლის მიერ. დაზარალებულის აღწერის საფუძველზე შეიქმნა თავდამსხმელის ფოტორობოტი, მაგრამ პარლამენტის წევრმა ასევე დაამატა, რომ მან არ იცოდა, თუ ვინ იყო თავდამსხმელი.

8. 2004 წლის 25 თებერვალს გამომძიებელმა შეადგინა აქტი ერთ-ერთი ქალბატონისა და მისი შვილის მიერ პოლიციისთვის მაყუჩით აღჭურვილი PSM-ის სისტემის პისტოლეტის გადაცემის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ ბავშვის მიერ იარაღი აღმოჩენილ იქნა დედასთან ერთად მათი სახლის უკანა ეზოში თამაშისას, იმ ადგილის სიახლოვეში, სადაც მოხდა პარლამენტის წევრზე თავდასხმა. ცეცხლსასროლი იარაღის გადაცემის აქტს, ასევე ხელი მოაწერა ორმა ტაქსის მძღოლმა და თარჯიმანმა.

9. 2004 წლის 13 მაისს, დაახლოებით დილის 10 საათზე, პირველი მომჩივანი, რომელიც ორჯერ იყო ნასამართლევნი ყაჩაღობისა და ნარკოტიკულ ნივთიერებებთან დაკავშირებული დანაშაულისთვის, ქუჩაში იქნა დაკავებული ზემოაღნიშნულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით მკვლელობის მცდელობის ექვსი საფუძველზე. მისი დაკავებისას მოხდა ორი მოწმის თანდასწრებით მისი ჩხრეკა, რა დროსაც აღმოჩნდა, რომ მას თან ჰქონდა „ბრაუნინგის“ სისტემის პისტოლეტი.

10. მომჩივანი დაპატიმრებულ იქნა თბილისის პოლიციის სამმართველოში და მიყვანილ იქნა განყოფილებაში პოლიციის თანამშრომლის, დ. ჩ.-ს მიერ, დასაკითხად. მან გასაუბრებისას აღიარა, რომ შეთქმულებაში შევიდა მეორე მომჩივანთან პარლამენტის წევრის მოკვლის მიზნით. კერძოდ, როგორც პოლიციის 2004 წლის 13 მაისის ოქმშია აღნიშნული, პირველმა მომჩივანმა განაცხადა, რომ მას 2003 წლის შემოდგომაზე მეორე მომჩივანი დაუკავშირდა და შესთავაზა 10.000 აშშ დოლარი ადამიანის მოკვლაში, რომლის ვინაობაც იმ დროისათვის არ დაზუსტებულა. ამისთვის მეორე მომჩივანმა იგი მანქანით მიიყვანა შენობასთან, სადაც დაზარალებული ცხოვრობდა, ისე, რომ არ აუხსნია მკვლელობის მიზეზები. მან გადასცა მას PSM-ის სისტემის პისტოლეტი, რომელიც დატენილი და აღჭურვილი იყო მაყუჩით. ამ დღიდან მოყოლებული, პირველი მომჩივანი რეგულარულად მიდიოდა შენობასთან, თუმცა მას მაშინ არ უცდია დაზარალებულის მოკვლა. მეორე მომჩივანი მას ტელეფონით დაუკავშირდა და დაჟინებით მოსთხოვა გეგმის განხორციელება. 2004 წლის 19 იანვარს პირველი მომჩივანი წარმატებით შევიდა ავტოფარეხში დაზარალებულთან ერთად, იარაღიდან ცეცხლი გაუხსნა მას და იქამდე ესროდა, ვიდრე ტყვიები არ დაუმთავრდა, შემდეგ კი მიიძალა. მოგვიანებით, იმავე საღამოს მას მეორე მომჩივანმა დაურეკა, რათა გამოეხატა თავისი უკმაყოფილება იმის გამო, რომ დაზარალებული, მართალია სერიოზულად იყო დაჭრილი, მაგრამ მაინც ცოცხალი გადარჩა. რამდენიმე დღის შემდეგ პირველმა მომჩივანმა ტელევიზიის მეშვეობით შეიტყო, რომ ადამიანი, რომლის მოკვლასაც ის ცდილობდა, პარლამენტის წევრი იყო.

11. 2004 წლის 13 მაისის დაკითხვის ოქმის თანახმად, პირველი მომჩივანი გარკვეული დროის განმავლობაში სინდისის ქენჯნას განიცდიდა და სურდა, პოლიციას ჩაბარებოდა. მან განუცხადა გამომძიებელს, რომ მისი აღიარება გულწრფელი იყო, რომ ის სინანულს განიცდიდა დანაშაულის ჩადენის გამო და შვება იგრძნო, როდესაც დააკავეს. პირველ მომჩივანს არ ჰყოლია ადვოკატი, რომელიც დაესწრებოდა დაკითხვას და მას ხელი არ მოუწერია დაკითხვის ოქმზე. როგორც შემდგომში განმარტა პ. ბ.-მ, თბილისის პროკურატურის გამომძიებელმა („გამომძიებელი“), რომელიც აწარმოებდა მომჩივნის საქმეს, მიზეზი იმისა, თუ რატომ არ მოაწერა მომჩივანმა ხელი დაკითხვის ოქმს, იყო ის, რომ მან გასაუბრებისას რამდენჯერმე დაკარგა გონება და საჭირო გახდა მისი ცივი წყლით მოსულიერება.

12. 2004 წლის 13 მაისს, დღის 5.15 საათზე, გამომძიებელმა ოფიციალურად წაუყენა ბრალი პირველ მომჩივანს მკვლელობის მცდელობაში მისივე აღიარების საფუძველზე და ისე, რომ არ უცნობებია ამ უკანასკნელისთვის მისი უფლების შესახებ, დაერეკა მის მიერ შერჩეული ადვოკატისთვის, დაუნიშნა მას სახაზინო ადვოკატი; საქმის მასალების თანახმად, სახაზინო ადვოკატი დათხოვნილი იქნა მომჩივნის მიერ 2004 წლის 4 ივნისს (იხ. 23-ე პარაგრაფი ქვემოთ) და ზოგადად, ამ უკანასკნელმა რამდენჯერმე შეცვალა დაცვის ადვოკატი სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში. პირველი მომჩივანი გადაიყვანეს დანაშაულის ადგილზე მომხდარის სურათის აღდგენის მიზნით და სთხოვეს, გაემეორებინა

თავისი აღიარებითი ჩვენება, რაც მან გააკეთა კიდევ სახაზინო ადვოკატისა და ორი დამოუკიდებელი მოწმის თანდასწრებით. მომჩივანმა სიტყვასიტყვით გაიმეორა თავისი აღიარებითი ჩვენება, რა დროსაც კვლავ ბრალი დასდო მეორე მომჩივანს და დასძინა, იგი იმედოვნებდა, რომ მისი გულწრფელი აღიარება მხედველობაში იქნებოდა მიღებული, როგორც შემამსუბუქებელი გარემოება. მოვლენათა სურათის აღდგენისას გაკეთებული განცხადებები წერილობით იქნა დაფიქსირებული ოქმში, რომელსაც ხელს აწერდნენ პირველი მომჩივანი და მისთვის დანიშნული ადვოკატი.

13. მოგვიანებით, იმავე დღეს შედგა პირველი მომჩივნის პირისპირ შეხვედრა დაზარალებულთან ოფიციალური დაპირისპირების დროს. ის სამ სხვა პიროვნებასთან ერთად წარდგენილ იქნა პარლამენტის წევრის წინაშე, რომელმაც გარკვეული ყოყმანის შემდეგ ამოიცნო მასში ის პიროვნება, რომელიც თავს დაესხა მას. ამოცნობით წარდგენის შემდეგ პარლამენტის წევრმა ითხოვა, მიეცათ მისთვის პირველ მომჩივანთან პირისპირ საუბრის საშუალება, რაზეც მას ნება დართეს. მათ საუბარს სხვა არავინ ესწრებოდა.

14. შემდგომ გამომძიებელმა უჩვენა პირველ მომჩივანს PSM-ის სისტემის პისტოლეტი და მაყუჩი, რომელიც 2004 წლის 25 თებერვალს ორი დამოუკიდებელი მოწმის მიერ იქნა პოლიციისთვის გადაცემული (იხ. პარაგრაფი 8 ზემოთ). მომჩივანმა განაცხადა, რომ მან ამოიცნო ეს იარაღი, როგორც ის იარაღი, რომლითაც თავს დაესხა დაზარალებულს. ამოცნობის პროცედურა წერილობით იქნა გაფორმებული და მას ხელი მოაწერა პირველი მომჩივნის სახაზინო ადვოკატმა.

15. 2004 წლის 13 მაისს დაკავებულ იქნა მეორე მომჩივანიც და მას ბრალი წაუყენეს მკვლელობის მცდელობაში. მას დაენიშნა სახაზინო ადვოკატი. ბრალდებების თანახმად, მას სურდა პარლამენტის წევრის მოკვლა, რომელიც მისი შორეული ნათესავი იყო. როგორც იმ ბანკის დამფუძნებელმა, რომელშიც მუშაობდა მეორე მომჩივნის ძმა, პარლამენტის წევრმა მოითხოვა, რომ მომჩივანსა და მის ძმას დაებრუნებინათ ის 700.000 აშშ დოლარი, რომელიც დაკარგულად იქნა აღიარებული შიდა აუდიტის შედეგად (იხ. აგრეთვე 62-ე პარაგრაფი ქვემოთ).

16. 2004 წლის 14 მაისს პირველი მომჩივანი შეხვდა მეორე მომჩივანს ოფიციალური დაპირისპირებისას და დაადანაშაულა იგი თავისი წინა აღიარების შესაბამისად. ოფიციალური დაპირისპირების წერილობითი ოქმის თანახმად, მეორე მომჩივანს დახმარებას უწევდა სახაზინო ადვოკატი.

17. 2004 წლის 15 მაისს პირველ მომჩივანს ბრალი წარედგინა იმასთან დაკავშირებით, რომ მას აღმოუჩინეს „ბრაუნინგის“ სისტემის პისტოლეტი, როდესაც მოხდა მისი დაპატიმრება იარაღის უკანონოდ ტარების სახით, დამატებითი დანაშაულის ჩადენის გამო.

18. 2004 წლის 16 მაისს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ საჯარო მოსმენის შედეგად გამოიტანა განჩინება ორივე მომჩივნისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ, 2004 წლის 13 აგვისტომდე. სისხლის სამართლის საქმის მასალების განხილვისა და მხარეთა ზეპირი მოსაზრებების მოსმენის შემდეგ სასამართლომ დაადასტურა გონივრული ეჭვის არსებობა, რომ მოცემული დანაშაულები მართლაც იქნა ჩადენილი. წინასწარი პატიმრობის შეფარდების კიდევ ერთი ძირითადი დასაბუთება იყო იმის ვარაუდი, რომ სასჯელის შესაძლო სიმძიმიდან გამომდინარე, ბრალდებულები შესაძლოა მიმალულიყვნენ.

19. პირველი მომჩივნის მეუღლის მიერ საგამომიებო ორგანოებისათვის მოგვიანებით მიცემული ჩვენების თანახმად, იგი დაესწრო 2004 წლის 16 მაისს გამართულ მოსმენას და შეამჩნია, რომ მის მეუღლეს ფრჩხილები დაკვნეტილი და ჩაშავებული ჰქონდა, ხოლო მაჯები შეხვეული, რის დამალვასაც ის პულოვერის ქვეშ ცდილობდა.

20. იმავე დღეს, 2004 წლის 16 მაისს, პირველი და მეორე მომჩივანი თბილისის პოლიციის სამმართველოდან, სადაც ისინი დაკავების დღიდან იმყოფებოდნენ, შესაბამისად თბილისის №7 და №1 საპატიმროებში გადაიყვანეს. მომჩივნები ამ საპატიმროებში იმყოფებოდნენ წინასწარი პატიმრობის მთლიანი ვადის განმავლობაში, მათ მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განაჩენის გამოტანამდე (იხ. პარაგრაფი 73 ქვემოთ).

21. 2004 წლის 16 მაისს №7 საპატიმროში მისი გადაყვანის შემდეგ პირველი მომჩივანი გასინჯა ციხის ექიმმა, რომელმაც ოქმში დააფიქსირა, რომ მის სხეულზე არ აღინიშნებოდა ძალადობის ნიშნები.

22. 2004 წლის 27 მაისს თბილისის სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მომჩივნების საჩივარი და მხარი დაუჭირა იმ საფუძვლებს, რაც მითითებული იყო 2004 წლის 16 მაისის განჩინებაში.

ბ) მომჩივნების წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის წინასწარი გამოძიების მსვლელობისას მომხდარი შემდგომი მოვლენები

23. 2004 წლის 4 ივნისს, პირველი მომჩივნისთვის მისი ოჯახის მიერ კერძო ადვოკატის („კერძო ადვოკატი“) დაქირავებისთანავე, პირველმა მომჩივანმა საჩივარი წარუდგინა გამომძიებელს, რომელშიც აცხადებდა, რომ მან 2004 წლის 13 მაისს აღიარებითი ჩვენება წამების შედეგად მისცა და რომ ის განცხადებები სინამდვილეს არ შეესაბამებოდა. პირველმა მომჩივანმა მოითხოვა, იგი ხელმეორედ დაეკითხათ. მან განაცხადა, რომ მის მიმართ 2004 წლის 13 მაისს გამოყენებულ იქნა ელექტროშოკები და სასტიკი ცემა და მოითხოვა, რომ მისთვის ჩაეტარებინათ სრული სამედიცინო გამოკვლევა, რათა დაედგინათ მისთვის მიყენებული დაზიანებების ზუსტი ხასიათი.

24. 2004 წლის 24 ივნისს გამომძიებელმა გასცა განკარგულება მომჩივნის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მომზადების თაობაზე, რომელიც მხოლოდ სამი თვის შემდეგ იქნა შედგენილი (იხ. 35-ე პარაგრაფი ქვემოთ).

25. 2004 წლის 15 ივნისს პირველმა მომჩივანმა გააკეთა წარდგინება მისი საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელი ქ. თბილისის პროკურორის მიმართ („ქალაქის პროკურორი“), რომელშიც ის ამტკიცებდა თავის უდანაშაულობას. პირველმა მომჩივანმა დააკონკრეტა, რომ მისი პირველი ადვოკატი, რომელიც დანიშნულ იქნა სახელმწიფოს მიერ, მას დაუნიშნა გამომძიებელმა მისი თანხმობის გარეშე (იხ. პარაგრაფი 12 ზემოთ), რომ ადვოკატს არაფერი გაუკეთებია მის დასაცავად და რომ იმ დროს მისთვის არც კი შეუთავაზებიათ საკუთარი არჩევანით სხვა ადვოკატის დანიშვნის შესაძლებლობა. პირველი მომჩივანი ამტკიცებდა, რომ 2004 წლის 13 მაისის დაკითხვამდე მას სცემეს კვადრატული რკინის ბოქლომით, რის შედეგადაც დაემართა კრუნჩხვები და საჭირო გახდა ექიმის გამოძახება.

26. 2004 წლის 17 ივნისს პირველმა მომჩივანმა საჩივარი შეიტანა ქალაქის პროკურორთან №7 საპატიმროში მის მიმართ განხორციელებული მუქარის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ მას დაუდგენელი პირები დაემუქრნენ, რომ მის ოჯახს ზიანი მიაღებოდა, თუ ის არ შეინარჩუნებდა თავის აღიარებით ჩვენებას.

27. 2004 წლის 22 ივნისს პირველმა მომჩივანმა გამომძიებელს წარუდგინა ალიბი, დაასახელა ექვსი ადამიანის ვინაობა, რომლებთან ერთადაც ის იმყოფებოდა 2004 წლის 19 იანვარს, როდესაც მოხდა პარლამენტის წევრის დაჭრა. მან მოითხოვა ამ პირების მოწმეების სახით დაკითხვა.

28. 2004 წლის 28 ივნისს გამომძიებელმა არ დააკმაყოფილა პირველი მომჩივნის 2004 წლის 22 ივნისის მოთხოვნა იმის გამო, რომ მისი ბრალი დადგენილ იქნა თავისი, ძალზე დეტალური აღიარებითი ჩვენების საფუძველზე, რომელიც მან გაიმეორა ადვოკატის თანდასწრებით დანაშაულის აღიგნაზე, მოვლენების აღდგენისას. გამომძიებელმა აღნიშნა, რომ, გარდა ამისა, მეორე მომჩივანთან დაპირისპირებისას პირველმა მომჩივანმა მას ბრალი დასდო იმაში, რომ ის იყო დანაშაულის წამქეზებელი. ამის გარდა, პირველი მომჩივანი ამოცნობილ იქნა დაზარალებულის მიერ. აქედან გამომდინარე, არ არსებობდა მიზეზი მისი ალიბის გადამოწმებისა.

29. 2004 წლის 14 ივლისს პირველი მომჩივნის ადვოკატმა გამომძიებელს წარუდგინა ზემოხსენებული ექვსი მოწმის წერილობითი განცხადებები (იხ. 27-ე პარაგრაფი ზემოთ), რომლებიც ამყარებდა ალიბს და იუწყებოდა, რომ 2004 წლის 19 იანვარს პირველი მომჩივანი იმყოფებოდა ჯვრის წერის ცერემონიაზე და შემდგომ – წვეულებაზე ღამის 2 საათამდე. ადვოკატმა კვლავ მოითხოვა ამ ადამიანების დაკითხვა. თავის მხრივ, მეორე მომჩივანმა გამოთქვა დაინტერესება იმის თაობაზე, რომ პირველი მომჩივნის ალიბი დადასტურებული ყოფილიყო. 2004 წლის 24 ივლისს გამომძიებელმა კვლავ უარი განაცხადა ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმავე მიზეზებით, რომლებსაც ის დაეყრდნო 2004 წლის 28 ივნისს.

30. 2004 წლის 13 ივლისს მეორე მომჩივანმა შეატყობინა მთავარ პროკურატურას, რომ პარლამენტის წევრმა ფარულად მოინახულა პატიმრობაში მყოფი პირველი მომჩივანი 2004 წლის 25 ივნისს, საღამოს 9 საათზე, რათა მოეთხოვა მისგან, რომ ამ უკანასკნელს დაედასტურებინა აღიარებითი ჩვენება. სანაცვლოდ, მან ფული შესთავაზა. საპატიმროში პარლამენტის წევრის ვიზიტის ოფიციალური რეგისტრაცია არ მომხდარა, თუმცა ამ ფაქტის დადასტურება ციხის თანამშრომლებს შეეძლოთ. მეორე მომჩივანი, ასევე, ასაჩივრებდა იმ ფაქტს, რომ პირველი მომჩივნის სამედიცინო დათვალიერების ექსპერტიზის დასკვნა ჯერაც არ იყო შედგენილი და რომ ის პირები, რომლებსაც შეეძლოთ მისი ალიბის დადასტურება, არ იყვნენ დაკითხულნი.

31. 2004 წლის ივლისიდან აგვისტომდე პერიოდში მეორე მომჩივანმა ქალაქის პროკურორთან კიდევ რამდენიმე საჩივარი შეიტანა გამომძიებლის მხრიდან პირველი მომჩივნის ალიბის გადამოწმებაზე განმეორებით უარის თქმის თაობაზე. საჩივრები არ იქნა დაკმაყოფილებული 3 და 7 აგვისტოს, რადგანაც ქალაქის პროკურორმა მიიჩნია, რომ არ არსებობდა პირველი მომჩივნის ალიბის განხილვის საჭიროება იმის გათვალისწინებით, რომ მან ნებაყოფლობით აღიარა დანაშაული და მისი 2004 წლის 13 მაისის გამოკითხვის ოქმში არ არსებობდა იმის მტკიცებულება, სადაც იგი უთითებდა, რომ მის მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას.

32. 2004 წლის 2 აგვისტოს პირველმა მომჩივანმა წერილობითი თხოვნით მიმართა გამომძიებელს, შეეცვალა მისთვის კერძო ადვოკატი, რომელიც მას მისმა ოჯახმა დაუქირავა და რომელიც 2004 წლის 4 ივნისიდან ახორციელებდა მის დაცვას (იხ. 23-ე პარაგრაფი ზემოთ), ახალი ადვოკატით, შ. დ.-ით. მომჩივანმა აღნიშნა, რომ მას სურდა, „კვლავ დაეკითხათ აღიარებით ჩვენებასთან დაკავშირებით“ და ბრალდების მხარესთან „საპროცესო გარიგების მიღწევის“ მიზნით, ზემოხსენებული ახალი სახაზინო ადვოკატის თანდასწრებით.

33. 2004 წლის 5 აგვისტოს გამომძიებელი და ახლად დანიშნული ადვოკატი შ. დ. მივიდნენ ციხის საავადმყოფოში, რათა მონაწილეობა მიეღოთ პირველი მომჩივნის დაკითხვაში, როგორც მან ეს მოითხოვა 2004 წლის 2 აგვისტოს. თუმცა მომჩივანმა, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, უარი განაცხადა დაკითხვაზე.

34. 2004 წლის 11 აგვისტოს თბილისის საოლქო სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა მომჩივანთათვის წინასწარი პატიმრობის ვადის – 2004 წლის 13 ნოემბრამდე გაგრძელების თაობაზე.

35. გამომძიებლის მიერ 2004 წლის 24 ივნისს მოწვეულმა ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტმა, 2004 წლის 13 სექტემბერს (იხ. 24-ე პარაგრაფი ზემოთ) შეადგინა ანგარიში მომჩივნის ფიზიკური მდგომარეობის შესახებ. როგორც აღმოჩნდა, ექსპერტს პირადად არ გაუსინჯავს მომჩივანი, არამედ სთხოვა გამომძიებელს, მიეწოდებინა მისთვის მომჩივნის თავისა და სხეულის რენტგენით გადაღებული სურათები. გამომძიებელმა ექსპერტს ორი რენტგენული სურათი გაუგზავნა 2004 წლის 8 სექტემბერს. აღსანიშნავია, რომ თავის რენტგენით გადაღებულ სურათზე, რომელიც მხოლოდ ცალი მხრიდან იყო გადაღებული და გულმკერდის რენტგენზე, არ აღინიშნებოდა იმ დროისათვის მისი სხეულის მოცემულ ნაწილებზე რაიმე დაზიანების ნიშნები.

36. 2004 წლის 27 სექტემბერს მეორე მომჩივნის დედამ შეიტანა საჩივარი სისხლის სამართლის საქმეზე მთავარ პროკურატურაში, რომელშიც ნათქვამია, რომ საქართველოს პარლამენტის წევრმა 2004 წლის ივლისში მოინახულა პირველი მომჩივანი საპატიმროში და შესთავაზა მას 30.000 ლარი (დაახლოებით 13.000 ევრო), რათა მას არ შეეცვალა აღიარებითი ჩვენება. შემდეგ გამომძიებელმა ზეწოლა მოახდინა პირველი მომჩივნის მეუღლეზე, რათა ამ უკანასკნელს დაერწმუნებინა თავისი ქმარი, მიეღო შეთავაზება. მან ასევე განაცხადა, რომ პარლამენტის წევრის ვიზიტის შემდეგ, კრიმინალურ ავტორიტეტებს ნება დართეს, შესულიყვნენ მომჩივნის საკანში 2004 წლის 2 აგვისტოს მასზე ზეწოლის მოხდენის მიზნით, რათა მას პარლამენტის წევრისთვის სასურველი ჩვენება მიეცა.

37. იმავე დღეს, 2004 წლის 27 სექტემბერს, პირველი მომჩივნის მეუღლემ მთავარ პროკურატურაში წარადგინა მეორე მომჩივნის დედის მიერ შეტანილი ანალოგიური საჩივარი. მან დაამატა, რომ პარლამენტის წევრის მიერ შეთავაზებული ფულის სანაცვლოდ, მის ქმარს უნდა დაეთხოვა მისი ოჯახის მიერ დაქირავებული კერძო ადვოკატი, ძალაში დაეტოვებინა თავისი აღიარებითი ჩვენება და ეთხოვა ბრალდების მხარესთან საპროცესო გარიგება. პარლამენტის წევრმა მას წინასწარ გადაუხადა 1.500 აშშ დოლარი, რათა ამ უკანასკნელს დაერწმუნებინა თავისი ქმარი. თუმცა, როდესაც 2004 წლის 5 აგვისტოს პირველმა მომჩივანმა უარი თქვა მისი აღიარებითი ჩვენების დამადასტურებელი განცხადების გაკეთებაზე გამომძიებლისა და ახალ დანიშნული სახაზინო ადვოკატის, შ. დ.-ის თანდასწრებით (იხ. პარაგრაფი 33 ზემოთ), გამომძიებელმა დატოვა საავადმყოფო და პირველი მომჩივნის საკანში შეუშვეს კ. კ., „მაფიის ბოსი“, რომლის სისხლის სამართლის საქმესაც იგივე გამომძიებელი იძიებდა. კ. კ. მომჩივანს სიკვდილით დაემუქრა, თუ ის უარს იტყოდა გამომძიებელთან თანამშრომლობაზე და მას ორი დღე მისცა მოსაფიქრებლად. პირველი მომჩივნის მეუღლემ დაამატა, რომ ის 2004 წლის 19 აგვისტოს შემდეგ იღებდა მუქარებს, მისი შვილის მოკვლასთან დაკავშირებით, თუ ის გაბედავდა ოფიციალურ პირებთან საუბარს ზემოაღნიშნულ მოვლენებზე.

38. მეორე მომჩივნის დედის ბრალდებები შემდგომში დადასტურდა ხსენებული მოვლენების

ჟურნალისტური გამოძიების შედეგად (იხ. პარაგრაფები 83-85 ქვემოთ).

39. 2004 წლის 1-ლ ოქტომბერს ქალაქის პროკურორმა უპასუხა პირველი მომჩივნის მეუღლეს და მეორე მომჩივნის დედას, რომ 2004 წლის 27 სექტემბრით დათარიღებული მათი საჩივრები აშკარად უსაფუძვლო იყო, იმავე მიზეზების გამო, რომლებიც მითითებული იყო ალიბის გადამოწმების თაობაზე პირველი მომჩივნის განმეორებით თხოვნებზე გაცემულ პასუხებში.

40. 2004 წლის ოქტომბრის დასაწყისში პირველმა მომჩივანმა დაითხოვა შ. ძ. და კვლავ დანიშნა თავისი კერძო ადვოკატი (იხ. 23-ე პარაგრაფი ზემოთ).

41. 2004 წლის 8 ოქტომბერს პირველი მომჩივნის ადვოკატმა მიწერა თბილისის პროკურატურას და სხვებს შორის მოითხოვა, რომ პირველი მომჩივნის მეუღლესა და საქართველოს პარლამენტის წევრის ადვოკატს შორის გამართული სხვადასხვა შეხვედრის ფარული ჩანაწერები (იხ. ჟურნალისტური გამოძიების დეტალები პარაგრაფებში 83-85 ქვემოთ) მოპოვებული ყოფილიყო არასათანადო მოპყრობის საქმიდან (იხ. პარაგრაფები 46-53 ქვემოთ) და დართულიყო მომჩივნის სისხლის სამართლის საქმეში. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მას უარი ეთქვა 2004 წლის 12 ოქტომბერს.

42. 2004 წლის 21 ოქტომბერს პირველი მომჩივნის ადვოკატმა შეატყობინა გამომძიებელს, რომ მის კლიენტს სურდა, ხელმეორედ დაკითხულიყო. გამომძიებელმა პირველი მომჩივანი იმავე დღეს დაკითხა, რა დროსაც ამ უკანასკნელმა გაიმეორა ყველა ფაქტობრივი დეტალი 2004 წლის 13 მაისს მის არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით, დაასახელა მოვლენებში მონაწილე პოლიციის თანამშრომლების ვინაობები და დეტალურად აღწერა მის მიმართ განხორციელებული მუქარის ფაქტები. იგი აცხადებდა, რომ აიძულეს, მიეღო შ. ძ. მის ადვოკატად და რომ მის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა გამომძიებლისთვის მოწმის განცხადებებზე ხელის მოწერა.

43. 2004 წლის 5 ნოემბერს პროკურორმა მიმართა მომჩივნების წინასწარი პატიმრობის ორი თვით, 2005 წლის 13 იანვარამდე გაგრძელების შუამდგომლობით. 2004 წლის 10 ნოემბრის განჩინებით, უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ პროკურატურისა და მომჩივნების ადვოკატთა თანდასწრებით შუამდგომლობის განხილვის შემდეგ დააკმაყოფილა გაგრძელების მოთხოვნა. ამ გადაწყვეტილების მიზეზად, მან დაასახელა ის, რომ მომჩივნებს ბრალი ედებოდათ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენაში და რომ „საქმის გარემოებებმა“ მისცა მას საფუძველი ევარაუდა, რომ ბრალდებულების გათავისუფლების შემთხვევაში მათ შეეძლოთ ეცადათ, ხელი შეეშალათ ფაქტების დადგენაში და თავი აერიდებინათ მართლმსაჯულებისთვის. მისი აზრით, მომჩივანთა თხოვნა მათი გირაოთი გათავისუფლების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილებულიყო ამავე მიზეზით. 2004 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებაში არ იქნა მითითებული საქმის რაიმე კონკრეტული, ფაქტობრივი გარემოებები.

44. 2004 წლის 30 დეკემბერს გამოძიება დასრულდა, პროკურორის მიერ დამტკიცებულ იქნა საბრალდებო დასკვნა და საქმე განსახილველად თბილისის საოლქო სასამართლოს გადაეგზავნა.

45. 2005 წლის 7 ივნისს თბილისის საოლქო სასამართლომ ჩაატარა წინასასამართლო სხდომა და დაადგინა მომჩივანთა სამართალწარმოებაში მიცემა ბრალდებულების სახით. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა სტანდარტული, შაბლონური ფორმით, წინასწარ დაბეჭდილი არგუმენტაციით. მოსამართლემ უბრალოდ ჩაამატა ღია ადგილებში ფაქტების მოკლე კონსტატაცია, ბრალდებულთა ვინაობები, სადავო დანაშაულის განმარტება და წინასწარი აღკვეთი ღონისძიება. რაც შეეხება ამ უკანასკნელის დადასტურებას, დაბეჭდილი სტანდარტული ფრაზა შემდეგნაირადაა ჩამოყალიბებული:

„წინასწარი აღკვეთი ღონისძიების ზომა – პატიმრობა – სწორად იქნა შერჩეული“.

გ) არასათანადო მოპყრობის თაობაზე პირველი მომჩივნის ბრალდებების გამოძიება

46. 2004 წლის 7 სექტემბერს პირველმა მომჩივანმა სისხლის სამართლის საჩივარი შეიტანა მთავარ პროკურატურაში, რომელშიც აცხადებდა, რომ 2004 წლის 13 მაისს მის მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას და იგი მოითხოვდა გამოძიების ჩატარებას. მან დააკონკრეტა, რომ დაახლოებით დილის 10 საათზე ის პოლიციის სამმართველოში გადაიყვანეს და მოათავსეს ერთ-ერთ ოთახში მე-12 სართულზე. მასზე ახდენდნენ ზემოქმედებას ელექტროშოკით და სცემდნენ. იმ პოლიციელის გვარი, რომელმაც მას იარაღი დაადო თავზე და აიძულებდა, ხელი მოაწერა წინასწარ მომზადებულ აღიარებაზე, იყო დ. კ.. შემოხსენებულ ქმედებებში ასევე მონაწილეობდა პოლიციის ორი სხვა თანამშრომელი, კ. ჩ. და დ. ენ.. ჩამოთვლილ პოლიციელთა გარდა, აღნიშნულ ქმედებებში სხვა პოლიციელებიც მონაწილეობდნენ და რადგან მომჩივანი ვერ იხსენებდა მათ სახელებს, მან განაცხადა,

რომ შეძლებდა მათ ამოცნობას, თუ მათ დაუპირისპირდებოდნენ. გარდა ამისა, მას კვადრატულ ბოქლომს ურტყამდნენ კისერში. მან გონება დაკარგა მასზე ელექტრომოკით ზემოქმედების დროს და პოლიციის თანამშრომლებმა მოსასულიერებლად წყალი დაასხეს თავზე. როდესაც ის გონს მოვიდა, იქვე იმყოფებოდა ექიმი, რომელმაც თქვა, რომ საჭირო იყო მისთვის დამამშვიდებელი ნემსის გაკეთება, მაგრამ ექიმის რეკომენდაცია უგულვებელყოფილ იქნა. შემდეგ პოლიციის თანამშრომლებმა პირველ მომჩივანს განუცხადეს, რომ მის ბინაში უკვე იმყოფებოდნენ და მოხდა ნარკოტიკების ჩადება და ადვილად შეიძლებოდა მისი მეუღლის დაპატიმრება. 2004 წლის 16-17 მაისის ღამეს მისი გადაყვანის შემდეგ №7 საპატიმროში, საპატიმროს ექიმმა მას ჰკითხა პოლიციის თანამშრომლების თანდასწრებით, იყო თუ არა ის ნაცემი, მაგრამ მან ეს უარყო იმის შიშით, რომ მის მიმართ განახლებოდა არასათანადო მოპყრობა.

47. 2004 წლის 9 სექტემბერს მთავარმა პროკურატურამ გადაუგზავნა მომჩივნის 2004 წლის 7 სექტემბრის საჩივარი პირადად თბილისის ქალაქის პროკურორსა და გამომძიებელს და სთხოვა მათ, მიეღოთ ზომები და ეცნობებინათ მთავარი პროკურორისთვის მათ მიერ განხორციელებული რეაგირების შესახებ. 2004 წლის 5 ოქტომბერს გამომძიებელმა უპასუხა უშუალოდ პირველ მომჩივანს და შეატყობინა მას, რომ მისი სისხლის სამართლის საჩივარი არასათანადო მოპყრობის შესახებ არ იქნა დაკმაყოფილებული, როგორც დაუსაბუთებელი, რადგან მომჩივანმა არ გაამყარა ის მტკიცებულებებით.

48. 2004 წლის 8 ოქტომბერს პირველი მომჩივნის მეუღლემ საჩივარი შეიტანა მთავარი პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში და შსს-ს გენერალურ ინსპექციაში, რომ მისი ქმრის მიმართ ადგილი ჰქონდა პოლიციის თანამშრომლების მხრიდან არასათანადო მოპყრობას და რომ მას არ ჰქონდა მიღებული პასუხი გამომძიებლისა და ქალაქ თბილისის პროკურორისგან წინა რამდენიმე საჩივარზე. მან ითხოვა გამომძიებლის საქმიდან ჩამოშორება და იმ პირთა ვინაობის დადგენა და დასჯა, ვინც განახორციელა არასათანადო მოპყრობა. თხოვნის გასამყარებლად, მან საჩივარს დაურთო, მისი მოთხოვნითა და ციხის ადმინისტრაციის ნებართვით, მომჩივნის კერძო სამედიცინო ექსპერტების მიერ გასინჯვის ოქმის ასლი, დათარიღებული 2004 წლის 29 სექტემბრით. ამ ოქმით დგინდებოდა, რომ სამმა სამედიცინო სპეციალისტმა-ფსიქიატრმა, ნევროლოგმა და ტრავმატოლოგმა – რამდენიმე ვიზიტის დროს გასინჯეს პირველი მომჩივანი საპატიმროში, რისთვისაც გამოიყენეს ციხის საავადმყოფოში არსებული სამედიცინო ტექნიკა-აღჭურვილობა. პირველ რიგში მათ აღნიშნეს, რომ პირველი მომჩივანი იმეორებდა მის მიერ 2004 წლის 7 სექტემბრის საჩივარში გაკეთებულ განცხადებებს. სამედიცინო ექსპერტებმა ასევე შენიშნეს, რომ მომჩივანი განიცდიდა ეპილეფსიურ შეტევებს და რომ, თავად მომჩივნის თქმით, პირველი შეტევა დაემართა 2004 წლის 22 ივლისს. ულტრაბგერითი და კომპიუტერული ტომოგრაფიის (CT) საფუძველზე მათ გამოთქვეს აზრი, რომ მომჩივანი განიცდიდა ეპილეფსიურ შეტევებს, რაც თავის ტრავმული დაზიანებით იყო გამოწვეული. კომპიუტერულმა ტომოგრაფიამ ასევე აჩვენა კეფაზე კისრის სახსრის არეში შეხორცებული ნაწიბური და ქალასშიდა ჰიპერტენზიის სინდრომის ნიშნები. ასევე, აღმოჩენილ იქნა ყვრიმალის ძვლისა და ზედა ყბის მარცხენა მხარის ცუდად მოშუშებული მოტეხილობა. ექსპერტთა აზრით, პრინციპში, სავსებით შესაძლებელი იყო, რომ გამოვლენილი ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემები გამოეწვია იმ არასათანადო მოპყრობას, რომლის თაობაზეც ჩიოდა პირველი მომჩივანი.

49. 2004 წლის 12 ოქტომბერს მთავარი პროკურატურის ინსპექციამ თხოვნით მიმართა თბილისის ქალაქის პროკურატურის საგამომძიებო დეპარტამენტს, 2004 წლის 13 ოქტომბრისთვის შეხვედროდნენ პირველ მომჩივანს, მისი მეუღლის მიერ გაჟღერებული ბრალდებების გადასამოწმებლად. შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურმა ინსპექციამ უპასუხა პირველი მომჩივნის მეუღლეს, რომ მომჩივნის სისხლის სამართლის საჩივარი უკვე განხილული იყო და უარყოფილ იქნა, როგორც დაუსაბუთებელი.

50. 2004 წლის 13 ოქტომბერს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის გამომძიებლის მიერ დაკითხვისას პირველმა მომჩივანმა გაიმეორა განცხადებები იმის თაობაზე, რომ ის 2004 წლის 13 მაისს პოლიციის თანამშრომლებმა აწამეს.

51. 2004 წლის 19 ოქტომბერს მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მოთხოვნით, სახელმწიფო ექსპერტებმა შეადგინეს პირველი მომჩივნის კიდევ ერთი სამედიცინო ოქმი. ექსპერტებმა აღნიშნეს პროგრესირებადი შეხორცების ეტაპზე მყოფი, კეფაზე, კისრის არეში არსებული ჭრილობა, რომელიც მიყენებული იყო მკვრივი და ბლაგვი საგნით; სხვადასხვა ჭრილობა მუცელზე, რომელთაგან ზოგიერთის ზომა 18/0.1 სმ-მდე იყო, ხოლო ზოგისა – 16/0.1 სმ-მდე; რამდენიმე ნასერი ჭრილობა მარცხენა წინამხარზე. თავზე არსებული ნაიარევი იყო ძველი და შეუძლებელი იყო იმის ზუსტად განსაზღვრა, თუ როდის იქნა ტრავმა მიღებული. თუმცა, ის შეიძლება მიყენებული ყოფილიყო 2004 წლის აპრილსა და ივლისის შუალედში.

52. 2004 წლის ოქტომბრის ბოლოდან და ნოემბრის დასაწყისამდე მთავარი პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ დაკითხა პირველი მომჩივნის სავარაუდო არასათანადო მოპყრობის რამდენიმე პოტენციური მოწმე: პ.ბ., მომჩივნის საქმის გამომძიებელი; მ. ს., შსს-ს ვიდეო-ოპერატორი, რომელმაც გადაიღო დანაშაულის ადგილზე მომჩივნის მიერ მისი თავდაპირველი აღიარებითი ჩვენების დადასტურების ფაქტი; სახაზინო ადვოკატი, რომელიც დაუნიშნეს მომჩივანს მისი დაპატიმრებისა და პირველი დაკითხვის შემდეგ; გ. ბ., მოსამართლე, რომელმაც გასცა მომჩივნის წინასწარი პატიმრობის განკარგულება 2004 წლის 16 მაისს; პირველი მომჩივნის ორი ნათესავი, რომლებიც დაესწრნენ ზემოხსენებულ მოსმენას; №7 საპატიმროს ექიმი, რომელმაც განახორციელა მომჩივნის ვიზუალური გამოკვლევა ციხეში მისი მიღების დროს. ზემოხსენებულ პირთაგან არცერთს არ უთქვამს, რომ იხილა პირველი მომჩივნის სხეულზე მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ნიშნები. გარდა ამისა, პირველი მომჩივნის მიერ არასათანადო მოპყრობაში დადანაშაულებულმა სამივე პოლიციელმა უარყო ეს ბრალდებები მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ მათი დაკითხვისას.

53. 2004 წლის 15 ნოემბერს კიდევ ერთმა სამედიცინო ექსპერტმა ჩაუტარა შემოწმება პირველ მომჩივანს, მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მოთხოვნით. წინა ექსპერტიზის დასკვნების დადასტურების გარდა (იხ. 51-ე პარაგრაფი ზემოთ) მან დაამატა, რომ მარცხენა თვალის გარშემო ყვრიმალის ძვალი დეფორმირებული იყო.

54. 2004 წლის 17 ნოემბერს მთავარი პროკურატურის გენერალურმა ინსპექციამ სხვადასხვა მოწმის მიერ გაკეთებული განცხადებებისა და 2004 წლის 19 ოქტომბრისა და 15 ნოემბრის სამედიცინო დასკვნების საფუძველზე გადაწყვიტა, არ დაეწყო სამართალწარმოება პირველი მომჩივნის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით.

55. კრწანისი-მთაწმინდის რაიონულმა სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება 2004 წლის 23 დეკემბერს. სასამართლომ დაადგინა, რომ პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიება არ იყო საკმარისად სრულყოფილი და უბრძანა გენერალურ ინსპექციას შემდგომი საგამომძიებო მოქმედებების განხორციელება, რომლის მიზანიც იყო პირველი მომჩივნის მიერ წამოყენებული სერიოზული ბრალდებების საფუძვლიანობის ხელმეორედ შესწავლა. 2005 წლის 8 თებერვალს ეს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა უზენაესმა სასამართლომ და 2005 წლის 24 თებერვალს აღიძრა სისხლის სამართლის საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის §1-ით (წამება).

56. გამოძიების განახლების შემდეგ პროკურატურამ დაკითხა იგივე ადამიანები, რომლებიც უკვე დაკითხულები იყვნენ 2004 წლის ოქტომბერ-ნოემბერში. გარდა ამისა, მოხდა მომჩივნის თავიდან გასინჯვა 2005 წლის აპრილში. 2005 წლის 27 აპრილს გაცემულ დასკვნაში ნათქვამია, რომ არ შეიძლება დაზუსტებით ითქვას, გამოწვეული იყო თუ არა ყვრიმალის ძვლის დეფორმაცია მომჩივნის მარცხენა თვალის გარშემო მკვრივი ან ბლაგვი საგნით 2004 წელს მიყენებული ტრავმული დაზიანებით.

57. დღევანდელი მდგომარეობით არსებული საქმის მასალების თანახმად, მხარეთა მიერ წარმოდგენილი უახლესი ფაქტობრივი დამატებითი ინფორმაციის გათვალისწინებით, შესაბამის ორგანოებს არ მიუღიათ საბოლოო გადაწყვეტილება მომჩივნის წამების საქმის გამოძიებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის §1-ით.

დ) სასამართლო განხილვა

58. 2006 წლის 14 სექტემბერს დაიწყო სასამართლო პროცესი თბილისის საოლქო სასამართლოში.

59. პირველი მომჩივანი, რომელიც კერძო ადვოკატის მიერ იყო წარმოდგენილი, თავს დამნაშავედ არ ცნობდა და განსაკუთრებით უსვამდა ხაზს იმ არასათანადო მოპყრობას, რომელსაც მის მიმართ ადგილი ჰქონდა მისგან აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით. მას ჰქონდა პრეტენზია იმის თაობაზე, რომ მიუხედავად განმეორებითი მოთხოვნისა, მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის მიერ მის სავარაუდო წამებასთან დაკავშირებით დაწყებული სისხლის სამართლის საქმის მასალები არ იქნა შეტანილი მისი და მეორე მომჩივნის წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის საქმეში (იხ. 41-ე პარაგრაფი ზემოთ). იგი დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მის მიმართ არასათანადო მოპყრობის გამოძიების შედეგები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მისი და მეორე მომჩივნის მიმართ სისხლის სამართლის ბრალდების საფუძვლიანობის შეფასებისათვის. პირველმა მომჩივანმა ასევე ხაზგასმით აღნიშნა ის ფაქტი, რომ მას ჰქონდა ალიბი.

60. მეორე მომჩივანმა, ასევე, არ ცნო თავი დამნაშავედ. მისმა ადვოკატმა მოითხოვა პარლამენტის წევრის მიერ 2004 წლის 13 მაისს პირველი მომჩივნის ამოცნობის ჩანაწერის მიუღებლად ცნობა, რადგანაც ის

დარღვევებით იყო მომზადებული. ამასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ 2004 წლის 4 თებერვალს დაზარალებულმა განმარტა, მას არ შეეძლო თავდამსხმელის ამოცნობა, მაშინ როდესაც მისი დახმარებით შექმნილი ფოტორობოტი არ ჰგავდა პირველ მომჩივანს. თუმცა, მოგვიანებით განაცხადა, რომ მას შეეძლო თავდამსხმელის ამოცნობა, რაც განახორციელა 2004 წლის 13 მაისს პირველი მომჩივნის „საერთო გარეგნობის“ საფუძველზე. გარდა ამისა, პირველი მომჩივანი, დაზარალებულს წარუდგინეს მწკრივში მდგარ სამ სხვა ადამიანთან ერთად, რომლებიც მისგან სრულებით განსხვავებული გარეგნობის იყვნენ (იხ. ასევე პარაგრაფები 64 და 65 ქვემოთ). მეორე მომჩივნის ადვოკატმა ასევე მოითხოვა, მიუღებლად ცნობილიყო პირველი და მეორე მომჩივნის ოფიციალური დაპირისპირების ჩანაწერი, დათარიღებული 2003 წლის 14 მაისით, რადგანაც ის დარღვევებით იყო შედგენილი. აღსანიშნავია, რომ ოქმში შეტანილი იყო სახაზინო ადვოკატის სახელი, რომელიც იმ დროს, თითქოს და, მეორე მომჩივანს უწევდა დახმარებას. თუმცა, სინამდვილეში მეორე მომჩივანი დაპირისპირებისას მარტო იყო. მართლაც, შინაგან საქმეთა სამინისტროს წერილის თანახმად, მეორე მომჩივნისთვის 2004 წლის 14 მაისს ოფიციალურად დანიშნულ სახაზინო ადვოკატს 2004 წლის 13-დან 17 მაისამდე პერიოდში არ ჰქონდა სამკერდე ნიშანი, რომელიც მას მისცემდა თბილისის პოლიციის მთავარ განყოფილებაში შესვლის უფლებას. პირველი ინსტანციის სასამართლომ იმავე დღეს უარი განაცხადა ამ ორი განაცხადის დაკმაყოფილებაზე მათი არასაკმარისი დასაბუთებულობის მიზეზით.

61. სასამართლო პროცესზე დაკითხვის დროს, ქალბატონმა და მისმა შვილმა, რომლებმაც სავარაუდოდ 2004 წლის 25 თებერვალს პოლიციას გადასცეს დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული იარაღი, საქმის მასალებში არსებული მოვლენების ოფიციალური ვერსიის თანახმად (იხ. მე-8 პარაგრაფი ზემოთ), განაცხადეს, რომ მათ პოლიციისთვის ასეთი იარაღი არასოდეს გადაუციათ. პირიქით, სწორედ პოლიცია მივიდა მოულოდნელად ქალბატონის სახლში, ეძება და აღმოაჩინა PSM-ის სისტემის პისტოლეტი ეზოში. მან დასძინა, რომ იარაღი, რომელიც პოლიციამ იპოვა, არ იყო აღჭურვილი მაყუჩით.

62. მომჩივნების მიერ სავარაუდოდ ჩადენილი თავდასხმის შესაძლო მოტივთან დაკავშირებულ სხვა განცხადებებთან ერთად, პარლამენტის წევრმა სასამართლოს განუცხადა, რომ როგორც ბანკის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა და ერთ-ერთმა უმსხვილესმა აქციონერმა, მან მეორე მომჩივნის ძმას რეკომენდაცია მისცა ბანკის ბათუმის ფილიალის მენეჯერის თანამდებობაზე (იხ. აგრეთვე მე-15 პარაგრაფი ზემოთ). თუმცა ამ ორმა ძმამ ბოროტად გამოიყენა მისი ნდობა. მათ აიღეს კლიენტების კუთვნილი გარკვეული ოქროულობა და დიდი ოდენობით თანხა და 2003 წლის ოქტომბერში გაუჩინარდნენ. სამი დღის შემდეგ, ოჯახის მცდელობის შედეგად, ძმების ბიძამ ნივთები და ფული ბანკს დაუბრუნა. რამდენიმე თვით ადრე ხსენებული ფილიალის შიდა აუდიტმა იქ საკმაოდ დიდი ოდენობის დანაკლისები აღმოაჩინა. მეორე მომჩივანმა და მისმა ძმამ განახორციელეს ზეწოლა აუდიტის კომიტეტის წევრებზე, რათა მათ არ ეცნობებინათ ამის შესახებ თბილისის სათავო ოფისში. შიდა მსჯელობების შემდეგ, რომლებშიც პარლამენტის წევრი პირადად მონაწილეობდა, მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ორივე ძმა არაუგვიანეს 2004 წლის 25 იანვრისა დაფარავდა იმ 750.000 აშშ დოლარს, რომლებიც მათ გაფლანგეს სხვადასხვა გზით. პარლამენტის წევრმა ასევე განაცხადა სასამართლო პროცესზე, რომ მან ადვილად ამოიცნო პირველი მომჩივანი 2004 წლის 13 მაისს. მან დაადასტურა, რომ ამოცნობითი წარდგენის შემდეგ, იგი გამომძიებლის თანხმობით მივიდა მომჩივანთან და ჰკითხა, თუ რატომ სცადა ამ უკანასკნელმა მისი მოკვლა. მათი კერძო საუბრისას პირველმა მომჩივანმა სავარაუდოდ უპასუხა, რომ მას არ უნდოდა მისი მოკვლა, მაგრამ იგი მეორე მომჩივნის ბრძანებებით მოქმედებდა (იხ. მე-13 პარაგრაფი ზემოთ).

63. 2004 წლის 13 მაისს დანაშაულის სურათის აღდგენისთვის გამოკითხულმა ორმა მოწმემ სასამართლო პროცესზე დაკითხვისას განაცხადა, რომ ისინი პოლიციის თანამშრომლებმა გააჩერეს პოლიციის მთავარი განყოფილების მახლობლად. პოლიციელებმა სთხოვეს, წაჰყოლოდნენ მათ საგამომძიებო პროცედურის ჩატარებაში დასახმარებლად და დაუმატეს, რომ უარის თქმის შემთხვევაში მათ დააპატიმრებდნენ. პოლიციის განყოფილებაში მოწმეებმა ნახეს პირველი მომჩივანი, რომელსაც მიუხედავად იმისა, რომ მაისის თბილი დღე იყო, შალის ქუდი ეხურა. გარდა ამისა, მას ერთ-ერთი თვალის გარშემო ძლიერი დალურჯება ეტყობოდა. გამომძიებელმა პირველ მომჩივანს ერთი-ორი კითხვა დაუსვა, მაგრამ ის უმეტესად დუმდა. როდესაც გამომძიებელმა მას კითხვა დაუსვა, წარმოადგენდა თუ არა მოცემული ადგილი დანაშაულის ჩადენის ადგილს, მან უბრალოდ თავი დაუქნია. მოვლენების სურათის აღდგენა ათიდან თხუთმეტ წუთამდე გაგრძელდა და მისი დასრულების შემდეგ ზემოხსენებულმა ორმა მოწმემ ხელი მოაწერა პროცედურულ ოქმს, ისე, რომ არ წაუკითხავთ მისი შინაარსი. მათი თანდასწრებით პირველ მომჩივანზე არანაირი ზეწოლა არ განხორციელებულა.

64. ერთ-ერთმა მამაკაცმა, რომელიც მონაწილეობდა 2004 წლის 13 მაისს ჩატარებულ ამოცნობაში,

რომლის დროსაც პირველი მომჩივანი ამოცნობილ იქნა დაზარალებულის მიერ, განუცხადა სასამართლოს, რომ მას ქუჩაში წინასწარი შერჩევის გარეშე მიმართა პოლიციამ, რათა მას მონაწილეობა მიეღო ამოცნობაში, მწკრივში დადგომის სახით. მან განაცხადა, რომ პირველი მომჩივნის გარდა, ამოცნობაში მონაწილე სამივე პიროვნება, მათ შორის თავადაც, სუფთად იყო გაპარსული. კიდევ ერთი მკაფიოდ გამორჩეული ნიშანი ის იყო, რომ მწკრივში მდგომი ოთხი მამაკაციდან მხოლოდ პირველი მომჩივანი იყო მელოტი. მომჩივანი გადაღლილი ჩანდა და ერთი თვალი ძლიერ დაღურჯებული ჰქონდა. აქედან გამომდინარე, არსებობდა მნიშვნელოვანი განსხვავება პირველ მომჩივანსა და სხვა მონაწილეების გარეგნობას შორის.

65. ამოცნობის კიდევ ერთი მონაწილის მიერ, რომელსაც ასევე ქუჩაში მიმართეს მონაწილეობის მიღების თაობაზე, მოწოდებულ იქნა მოვლენების იგივე ვერსია, მათ შორის, დაღურჯებულ ადგილთან დაკავშირებით. მან დაუმატა, რომ პირველი მომჩივანი ერთადერთი იყო, ვისაც არ ეკეთა ქამარი და ფეხსაცმლის შესაკრავი თასმები. როდესაც დაზარალებულმა მასში ის პიროვნება ამოიცნო, რომელმაც მას ესროლა, პირველმა მომჩივანმა წამოიძახა, რომ ეს მას არ უქნია.

66. სასამართლო პროცესზე დაკითხვისას ორმა ტაქსის მძღოლმა, რომლებმაც ხელი მოაწერეს 2004 წლის 25 თებერვლის ოქმს ქალბატონისა და მისი შვილის მიერ PSM-ის სისტემის პისტოლეტის გადაცემის შესახებ, განაცხადეს, რომ ისინი იძულებით წაიყვანეს პოლიციის მთავარ სამმართველოში, დაემუქრნენ პოლიციის მიერ მათთვის მართვის მოწმობების ჩამორთმევით და მოსთხოვეს მოწმეების სახით მონაწილეობის მიღება საგამომიებო პროცესში. ერთ-ერთმა პოლიციელმა მათ უთხრა, რომ ქალი და ბავშვი მოიტანდა იარაღს და მათ უნდა დაედასტურებინათ ეს ფაქტი ოქმზე ხელის მოწერით. ისინი საათ-ნახევრის განმავლობაში უშედეგოდ ელოდნენ ქალისა და ბავშვის მოსვლას. მაშინ ორმა პოლიციელმა მაგიდის უჯრიდან ამოიღო მაყუჩით აღჭურვილი იარაღი და განუმარტეს ტაქსის მძღოლებს, რომ სწორედ ეს იყო ის იარაღი, რომელზეც ჰქონდათ საუბარი. პოლიციის ოფიცრებმა შეადგინეს ოქმი, რომელშიც ეწერა, რომ არაქართული სახელების მქონე ქალბატონმა და მისმა შვილმა მიიტანეს იარაღი განყოფილებაში. ტაქსის ორმა მძღოლმა ხელი მოაწერა ამ გაყალბებულ დოკუმენტს, რათა უკან მიეღოთ თავიანთი მართვის მოწმობები და რაც შეიძლება მალე დაეტოვებინათ შენობა.

67. თარჯიმანმა, რომლის ხელმოწერაც დართული იყო 2004 წლის 25 თებერვლის ამავე ოქმის ბოლოში, სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ მას მოცემულ საგამომიებო პროცედურაში არ უთარგმნია ქალისა და ბავშვისთვის, რომლებიც ვერ საუბრობდნენ ქართულად. ის ირწმუნებოდა, რომ მისი ხელმოწერა გააყალბეს.

68. 2004 წლის 19 იანვრის საქორწილო წვეულების მონაწილე ოთხი პიროვნება ასევე ესწრებოდა საქმის განხილვას და მათ დაადასტურეს მომჩივნის ალიბი, განაცხადეს, რომ ნახეს იგი ხსენებულ წვეულებაზე, სადაც ის გვიან საღამომდე დარჩა, დანამდვილებით – 9 საათამდე მაინც.

69. დამოუკიდებელი ორგანიზაციის წევრმა უფლებადამცველმა სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ ხსენებული მოვლენების დროს მას სახელმწიფოსგან მიღებული ჰქონდა ოფიციალური ნებართვა, მოენახულებინა პატიმრები, რომელთა მიმართაც სავარაუდოდ ადგილი ჰქონდა ძალადობას. ოჯახის რიგი საჩივრების საპასუხოდ მან დაკავებიდან ორი კვირის შემდეგ მოინახულა პირველი მომჩივანი. მან ნახა, რომ მომჩივანს ჰქონდა ჭრილობა თავზე, ნასერი ჭრილობები სახეზე და ზოგადად ცუდ მდგომარეობაში იმყოფებოდა. პირველმა მომჩივანმა მას ასევე შესჩივლა თვალის გარშემო ძვლის მოტეხილობის თაობაზე. მომჩივანმა შემდგომ გარკვეული დრო გაატა ციხის საავადმყოფოში, თუმცა მოითხოვა ციხეში დაბრუნება, რადგან საავადმყოფოში მასთან მისვლისა და შეწუხების შესაძლებლობა ჰქონდა სხვადასხვა ადამიანს, მათ შორის, პარლამენტის წევრის ადვოკატს. პირველმა მომჩივანმა უფლებადამცველს დაუსახელა პოლიციელის, ვინმე კ.-ს ვინაობა და განუცხადა, რომ ის იყო ერთ-ერთი მათგანი, ვინც ის 2004 წლის 13 მაისს თბილისის პოლიციის მთავარ განყოფილებაში აწამა. უფლებადამცველმა დაუყოვნებლივ შეატყობინა შინაგან საქმეთა სამინისტროს და მთავარ პროკურატურას მომჩივნის ბრალდებების შესახებ, მაგრამ არცერთ მათგანს რეაგირება არ მოუხდენია.

70. პირველი მომჩივნის მეუღლემ განაცხადა სასამართლოზე, რომ მან 2004 წლის 2 ივნისს ციხეში მოინახულა თავისი ქმარი. მეუღლემ დაინახა მათ შორის არსებული მინის იქით, რომ მას შალის ქუდი ეხურა, რომლის ქვემოდანაც მოჩანდა სამედიცინო წებოვანი ლენტი. მას თვალების ქვეშ აღენიშნებოდა მუქი წრეები და ფრჩხილები ჰქონდა ჩაშავებული. ქალმა ასევე დაადასტურა ფაქტები, რომლებიც დაკავშირებული იყო მის შეხვედრებთან პარლამენტარის წევრის ადვოკატთან.

71. დაცვის მხარის მიმართვის საფუძველზე, სასამართლო დარბაზში მოხდა პირველი მომჩივნის

მეუღლესა და დაზარალებულის ადვოკატს შორის შემდგარი ორი შეხვედრის ფარული ჩანაწერების დემონსტრირება (იხ. ჟურნალისტური გამოძიების დეტალები პარაგრაფებში 83-85 ქვემოთ).

ე) მომჩივნების დამნაშავედ ცნობა

72. 2007 წლის 21 თებერვალს თბილისის საოლქო სასამართლომ დაადგინა, რომ შემდეგი მტკიცებულებები დაუშვებელია მათი მოპოვების მეთოდების თვალსაზრისით არსებული მნიშვნელოვანი პროცედურული ხარვეზების გამო:

- (i) პირველი მომჩივნის აღიარება, მიღებული მისი პირველი დაკითხვისას 2004 წლის 13 მაისს (იხ. პარაგრაფები 10 და 11 ზემოთ);
- (ii) ქალისა და მისი ვაჟის მიერ პოლიციის განყოფილებაში PSM-ის სისტემის პისტოლეტის ჩაბარების 2004 წლის 25 თებერვლის ოქმი (იხ. მე-8 პარაგრაფი ზემოთ);
- (iii) პირველი მომჩივნის მიერ PSM-ის სისტემის პისტოლეტის ამოცნობის 2004 წლის 13 მაისის ოქმი (იხ. პარაგრაფი 14 ზემოთ).

73. 2007 წლის 26 თებერვალს თბილისის საოლქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება. თავიდან მან მიიჩნია, რომ უდავო იყო პირველი მომჩივნის სხეულზე სხვადასხვა დაზიანების არსებობა, როგორც ამას ადასტურებდა სხვადასხვა ექსპერტთა დასკვნები. თუმცა, დაზიანებების მიღების დრო, ადგილი და გარემოებები არ იქნა დადგენილი.

74. პირველი მომჩივანი დამნაშავედ იქნა ცნობილი დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის ჩადენის მცდელობაში 2004 წლის 19 იანვარს პარლამენტის წევრზე მისი თავდასხმის საფუძველზე და იარაღის უკანონო ფლობის გამო, რაც დაკავშირებული იყო „ბრაუნინგის“ სისტემის პისტოლეტთან, რომელიც მას დაკავებისას აღმოუჩინეს. სასამართლოს განცხადებით, მისი დანაშაული „ბრაუნინგთან“ დაკავშირებით დამტკიცებულ იქნა მისი დაკავების შემდგომი, სხეულის ჩხრეკის ოქმით და ამ გზით ნაპოვნი იარაღის ამოღების ოქმით.

75. სასამართლომ დაადგინა, რომ მკვლელობის მცდელობის ბრალდება დამტკიცებული იქნა შემდეგი პირდაპირი მტკიცებულებით, რომელიც, სასამართლოს აზრით, მოპოვებული იქნა სერიოზული დარღვევების გარეშე:

- (i) 2004 წლის 13 მაისს დანაშაულის ადგილზე ვითარების სურათის აღდგენისას პირველი მომჩივნის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენების წერილობითი ჩანაწერი (იხ. მე-12 პარაგრაფი ზემოთ);
- (ii) პარლამენტის წევრის მიერ იმავე დღეს მისი ამოცნობის ოქმი (იხ. პარაგრაფი 13 ზემოთ);
- (iii) პარლამენტის წევრის განცხადებები იმ პირად საუბართან დაკავშირებით, რომელიც მას ჰქონდა პირველ მომჩივანთან 2004 წლის 13 მაისს (იხ. პარაგრაფი 13 ზემოთ).

76. მეორე მომჩივანი ასევე დამნაშავედ იქნა ცნობილი დამამძიმებელ გარემოებებში მკვლელობის ჩადენის მცდელობასა და იარაღის უკანონო ფლობაში, გამომდინარე იმ ქმედებებიდან, რაც მან განახორციელდა პარლამენტის წევრის მკვლელობის დაგეგმვის კუთხით, რისთვისაც დაიქირავა პირველი მომჩივანი და უზრუნველყო იგი ცეცხლსასროლი იარაღით. გარდა ამისა, ის დამნაშავედ იქნა ცნობილი ბანკის აქტივების მითვისებაში, ჩადენილი მის ძმასთან თანამონაწილეობის პირობებში (იხ. პარაგრაფები 15 და 62 ზემოთ).

სასამართლოს აზრით, იგივე მტკიცებულებებმა, რომლებიც გამოყენებულ იქნა პირველი მომჩივნის წინააღმდეგ, დაადასტურა მეორე მომჩივნისათვის წაყენებული მკვლელობის მცდელობის ბრალდება (იხ. წინა პარაგრაფი):

- (i) 2004 წლის 13 მაისს დანაშაულის ადგილზე მოვლენების სურათის აღდგენისას პირველი მომჩივნის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენების წერილობითი ჩანაწერი; და
- (ii) პარლამენტის წევრის განცხადებები იმ პირად საუბართან დაკავშირებით, რომელიც მას ჰქონდა პირველ მომჩივანთან 2004 წლის 13 მაისს.

77. რაც შეეხება დაცვის მხარის არგუმენტებს ზემოხსენებული სხვადასხვა ჩანაწერის კანონიერებასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღიარა, რომ ადგილი ჰქონდა რიგ დარღვევებს საგამოძიებო

პროცედურების მიმდინარეობისას, თუმცა ისინი არ ყოფილა ისეთი ხარისხის, რომ მტკიცებულებები მიუღებლად მიჩნეულიყო.

78. სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მომჩივანმა გაასაჩივრა.

79. განზრახ მკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებით, პირველმა მომჩივანმა გაიმეორა თავისი საჩივრები იმასთან დაკავშირებით, რომ მას პირველ დაკითხვაზე არ ჰყავდა ადვოკატი, რომ მას არასათანადოდ ეპყრობოდნენ და იძულებით მიაცემინეს აღიარებით ჩვენება. მისი თქმით, მოსამართლეთა მიერ დაკითხულმა მრავალმა მოწმემ გამოთქვა გონივრული ეჭვი იმასთან დაკავშირებით, რომ მას შეეძლო ჯეროვნად მონაწილეობის მიღება მისი აღიარებითი ჩვენების დადასტურებაში 2004 წლის 13 მაისს დანაშაულის ადგილზე მოვლენების სურათის აღდგენისას. მიუხედავად ამისა, ხსენებული პროცედურის ოქმი განიხილებოდა მთავარ მტკიცებულებად მისი ბრალეულობის დადგენისას. მეორე მტკიცებულება, რომელიც გამოყენებულ იქნა მკვლელობის მცდელობაში მისი ბრალეულობის დასადგენად – დაზარალებულის მიერ მისი ამოცნობის ჩანაწერები – ასევე არაკეთილსინდისიერი მტკიცებულება იყო დარღვევების შედეგად. სინამდვილეში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347-ე მუხლის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ, სხვა მამაკაცები, რომლებიც მასთან ერთად იყვნენ ჩამწკრივებული ამოსაცნობად, გამოიყურებოდნენ ჯანმრთელად, ჰქონდათ თმა სრულად თავზე, იყვნენ გაპარსული და ეკეთათ ქამრები და მათი ფეხსაცმელებიც თასმებით იყო შეკრული. მეორე მხრივ, ის ნაწილობრივ მელოტი იყო, დაზიანებები ჰქონდა და გამოიყურებოდა დაღლილი, რამდენიმე დღის განმავლობაში არ შეეძლო გაპარსვა და არ ეკეთა ქამარი და ფეხსაცმლის თასმები. პირველმა მომჩივანმა ასევე მიუთითა მის მეუღლესა და პარლამენტის წევრის ადვოკატს შორის გამართული შეხვედრების ფარულ ჩანაწერებზე (იხ. პარაგრაფები 83-85 ქვემოთ). ეს ჩანაწერები მოასმენინეს სასამართლო პროცესში მონაწილე მოსამართლეებს, მაგრამ მათ გადაწყვიტეს, არ ეხსენებინათ ისინი თავიანთ გადაწყვეტილებაში ან რაიმე ფორმით არ გაეთვალისწინებინათ ისინი.

80. მეორე მომჩივნის საჩივარში ფიგურირებდა მკვლელობის მცდელობასთან დაკავშირებით არსებული მსგავსი არგუმენტები. მან განსაკუთრებული პრეტენზია გამოთქვა იმის თაობაზე, რომ მაშინ, როდესაც სასამართლო პროცესში მონაწილე მოსამართლეებმა მისი ბრალეულობა, 2004 წლის 13 მაისს დანაშაულის ადგილზე მოვლენების სურათის აღდგენისას, პირველი მომჩივნის მიერ მიცემული აღიარებითი ჩვენების დადასტურებაზე დაყრდნობით დაადგინეს, ეს კონკრეტული მტკიცებულება აშკარად უკანონო იყო არასათანადო მოპყრობის ფაქტის გამო, რომელსაც პირველი მომჩივნის მიმართ ადგილი ჰქონდა პოლიციის მხრიდან.

81. 2007 წლის 17 ივლისს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ არ დააკმაყოფილა მომჩივანთა საჩივრები. რაც შეეხება სავარაუდო არასათანადო მოპყრობას, სისხლის სამართლის პალატამ დაადასტურა, რომ სადავო საკითხს არ წამოადგენდა ის, რომ პირველ მომჩივანს სხეულზე ჰქონდა ძალადობის ნიშნები. მიუხედავად ამისა, გარემოებები, რომლებშიც ეს დაზიანებები იქნა მიღებული და ის, თუ ვის მიერ იქნა ისინი მიყენებული, ცნობილი არ იყო. სასამართლომ დაადგინა, რომ გამამტყუნებელი განაჩენი ორივე მომჩივნის მიმართ უნდა ყოფილიყო სრულად ძალაში დატოვებული. პირველ და მეორე მომჩივანს მიუსაჯეს, შესაბამისად, ოცდაერთი და თექვსმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ვ) საქმის მასალებში არსებული ვიდეოჩანაწერები

82. კასეტა შეიცავს ჟურნალისტური გამოძიების პროგრამის „60 წუთის“ ჩანაწერს. მოცემული ჩანაწერი ეხება მომჩივანთა საქმეს და მისი დასახელებაა „შეკვეთილი მკვლელობა თუ გაყალბებული გამოძიება?“

83. სხვა დეტალებთან ერთად პროგრამაში გადაიცა პირველი მომჩივნის მეუღლესა და პარლამენტის წევრის ადვოკატს შორის შემდგარი ორი შეხვედრის ფარული ვიდეოჩანაწერი.

84. პირველი შეხვედრისას, რომელიც 2004 წლის 2 აგვისტომდე რამდენიმე დღით ადრე შედგა, ადვოკატმა პირველი მომჩივნის მეუღლეს თანხის ავანსად გადახდა შესთავაზა, იმის გარანტირების სანაცვლოდ, რომ მისი მეუღლე შეცვლიდა მის მიერ შერჩეულ ადვოკატს და მის ნაცვლად აიყვანდა შ. ძ.-ს, რომელსაც პარლამენტის წევრი ენდობოდა. პარლამენტის წევრი სწორედ ამ ახალი ადვოკატის დახმარებით მოელოდა მომჩივნისაგან მისი თავდაპირველი აღიარებითი ჩვენების ძალაში დატოვებას. პირველი მომჩივნის მეუღლემ უპასუხა, რომ მისი ქმრის ადვოკატსაც შეეძლო ამ საქმის განხორციელება, მაგრამ პარლამენტის წევრის ადვოკატმა განუცხადა, რომ არ შეიძლებოდა ამ ადვოკატის ნდობა ამგვარი გარიგებებისას.

85. მეორე შეხვედრის ფარულმა ჩანაწერმა დაადასტურა, თუ როგორ გადასცა იმ დროისთვის პირველი მომჩივნის ადვოკატად დანიშნულმა შ. ძ.-მ, პარლამენტის წევრის ადვოკატის რჩევით, 1.500 აშშ დოლარი პირველი მომჩივნის მეუღლეს, პარლამენტის წევრის სახელით (იხ. ასევე პარაგრაფი 37 ზემოთ).

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა და საერთაშორისო დოკუმენტები

ა) მოცემულ პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

86. მოცემული პერიოდისთვის მოქმედი 1998 წლის 20 თებერვლის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის დებულებებს ჰქონდა შემდეგი ფორმულირება:

მუხლი 69, 2005 წლის 16 დეკემბერს შეტანილი ცვლილებებით

„დაზარალებულს ... უფლება აქვს: ...;

ი) მონაწილეობა მიიღოს თავის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამომიებო მოქმედებაში;

ლ) გაეცნოს სისხლის სამართლის საქმის ყველა მასალის ასლს და მტკიცებულებებს საქმის სასამართლოში გადაგზავნის შემდეგ...“

111-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (გ)

„მტკიცებულება დაუშვებლად მიიჩნევა, თუ იგი მიღებულია კანონით დადგენილი წესის დარღვევით, აგრეთვე ძალადობის, მუქარის, მოტყუების, შანტაჟის, პიროვნების აბუჩად აგდების ან სხვა უკანონო მეთოდის გამოყენებით“

163-ე მუხლის მე-2 ნაწილი

„2. სასამართლოს გააჩნია კანონით დადგენილი 5-დღიანი ვადა პროკურორის მიერ წინასწარი პატიმრობის თავდაპირველად განსაზღვრული ვადის გაგრძელების თაობაზე წარდგენილი შუამდგომლობის განსახილველად. ხსენებული პერიოდი იწყება სასამართლოს მიერ ასეთი შუამდგომლობის მიღების მომენტიდან. უნდა ჩატარდეს შესაბამისი სასამართლო განხილვა ზეპირი მოსმენით, რომელსაც დაესწრება ორივე მხარე...“

347-ე მუხლის მე-3 ნაწილი

„3. ამომცნობს ამოსაცნობი პირი უნდა წარუდგინონ იმავე სქესის არანაკლებ სამ ისეთ პირთან ერთად, რომლებიც ერთმანეთისაგან მკვეთრად არ განსხვავდებიან გარეგნობითა და ტანსაცმლით“.

ბ) გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) სპეციალური მომხსენებლის ანგარიში წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის შესახებ

87. საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შემდეგ, 2005 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულ მის ყოველწლიურ ანგარიშში, ადამიანის უფლებათა 62-ე კომისიისადმი, გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის საკითხებში განაცხადა:

„... სამართალდამცავების მხრიდან წამებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტები საქართველოში კვლავ არსებობს ... წამების მეთოდები მოიცავდა ცემას მუშტებით, ცეცხლსასროლი იარაღის სახელურით და ხელკეტებით, ასევე ელექტროშოკებისა და სიგარეტით დაწვის გამოყენებას; მსხვერპლთათვის მიყენებული დაზიანებები მოიცავდა, მათ შორის, ძვლების მოტეხილობებს, სიგარეტით მიყენებულ დამწვრობებს, ნაიარევებს, ასევე ნეირო-ფსიქოლოგიურ ცვლილებებს“.

88. 2005 წლის 19-25 თებერვალს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის დროს სპეციალური მომხსენებელი შეხვდა რამდენიმე დაკავებულ პირს და მათთან გასაუბრების შედეგად დაასკვნა, რომ მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას, აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით. მან აღნიშნა:

„... მათი დაზიანებები ჯერ კიდევ ხილვადი იყო შეხვედრების მომენტისთვის და ჯეროვნად იყო დოკუმენტირებული დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ. როგორც სპეციალური მომხსენებლისთვის შეხვედრებიდან გახდა ნათელი, ეს ადამიანები კვლავაც განიცდიდნენ წამების შედეგებს და საჭიროებდნენ შესაბამის მკურნალობასა და რეაბილიტაციას, რომელსაც ისინი არ იღებდნენ“.

89. სპეციალური მომხსენებლის მიერ დოკუმენტირებული ათი შემთხვევიდან, პირველი მომჩივნის მდგომარეობას შემდეგი ამონარიდი ეხებოდა:

„[პირველი მომჩივანი], 27 წლის ... დააკავეს 2004 წლის 13 მაისს მკვლელობის მცდელობის ეჭვის საფუძველზე. ის მიიყვანეს თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოში... მან უარი თქვა აღიარებაზე და პოლიციელებმა მას დაუწყეს ხელკეტებით ცემა, სახეში რკინის ბოჭლომს ურტყამდნენ და გამოიყენეს ელექტროშოკით ზემოქმედება მის ფეხებსა და ტერფებზე. ცემაში ასევე მონაწილეობდნენ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, პროკურატურის გამომძიებელი და ადვოკატი. დაზიანებებს შორის, მას აღენიშნებოდა საფეთქლის ძვლის და ზედა ყბის მოტეხილობები. შემდგომში, მას განუვითარდა ეპილეფსია და აწუხებს ძილის დარღვევები, მოვლენების რეტროსპექტიული გახსენება, მეხსიერების დროებითი დაკარგვა, მხედველობის დაკარგვა, მეხსიერებასთან დაკავშირებული პრობლემები, თავის ტკივილები და კანკალი. 2004 წლის 16 მაისს ის წინასწარ პატიმრობაში გადაიყვანეს. გადაყვანის შემდეგ მან არ მიუთითა ციხის ექიმს იმაზე, თუ რა ბუნებისა იყო მისი დაზიანებები, რადგანაც ეშინოდა და გადაღლილი იყო. მისი ადვოკატის მოთხოვნით, პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე წამების საჩივრის საფუძველზე, 2004 წლის ნოემბერში კი პროკურატურამ აცნობა, რომ წამების მტკიცებულება არ არსებობდა. სააპელაციო წესით თბილისის რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა საჩივარი, რაც 2005 წლის თებერვალში დაადასტურა უზენაესმა სასამართლომ და საქმე დაუბრუნდა პროკურატურას წამების საჩივრის თავიდან გამოსადიებლად ...“

სამართალი

I. კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნების სავარაუდო დარღვევა

90. ორივე მომჩივანი ჩიოდა, რომ შესაბამის საპატიმროებში წინასწარი პატიმრობისას ისინი ცუდ პირობებში იმყოფებოდნენ. მათ არ დაუზუსტებიათ, მათი აზრით, კონკრეტულად რა ნაკლოვანებები ჰქონდა მათ საკნებს და თავიანთი ზოგადი საჩივრების გასამყარებლად, მათ მოიშველიეს იმ დროისათვის ციხეების მონიტორინგის სხვადასხვა საერთაშორისო და ეროვნული ორგანოს მიერ საქართველოს სასჯელაღსრულების სისტემაში არსებული მდგომარეობის შესახებ გამოქვეყნებული ანგარიშები.

91. პირველმა მომჩივანმა ასევე იჩივლა, რომ პოლიციის თანამშრომლების მხრიდან ადგილი ჰქონდა მის მიმართ არასათანადო მოპყრობას 2004 წლის 13 მაისს თბილისის პოლიციის სამმართველოში პატიმრობაში ყოფნისას და რომ შესაბამისი ეროვნული ორგანოების მხრიდან ვერ მოხერხდა ინციდენტის გამოძიება.

92. მომჩივნებმა მოიშველიეს კონვენციის მე-3 მუხლი, რომლის თანახმად:

„ადამიანის წამება, არაადამიანური თუ დამამცირებელი დასჯა ან მასთან ასეთი მოპყრობა დაუშვებელია“.

ა) მისაღებობა

1. რაც შეეხება ციხის პირობებს

(ა) მხარეთა არგუმენტები

93. მთავრობამ განაცხადა, რომ იმ დროისთვის, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ეროვნული დამკვირვებლების მიერ საქართველოს ციხეებში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სხვადასხვა ანგარიშებზე ზოგადი მითითების გარდა, მომჩივნებს არ წარმოუდგენიათ საკუთარი ვერსიები იმის თაობაზე, თუ როგორი იყო მათი პატიმრობის პირობები შესაბამის საპატიმროებში. შესაბამისად, მათ არ დაუკონკრეტებიათ, თუ ზუსტად რომელ საკნებში იყვნენ ისინი მოთავსებული, გააჩნდა თუ არა ამ საკნებს ნაკლოვანებები, ჰიგიენური თვალსაზრისით, ან იყო თუ არა ისინი გადატვირთული, განიცდიდნენ თუ არა მომჩივნები სუფთა ჰაერზე, მზის სინათლეზე ან ფიზიკურ ვარჯიშებზე წვდომის ნაკლებობას, ხომ არ ეუბნებოდნენ მათ უარს ოჯახის წევრებთან პაემნების უფლებით სარგებლობაზე და ა.შ.

94. ამის საპირისპიროდ, მთავრობამ წარმოადგინა №1 და №7 საპატიმროების (სადაც შესაბამისად მოთავსებული იყვნენ პირველი და მეორე მომჩივანი 2004 წლის 16 მაისსა და 26 თებერვალს შორის პერიოდში) უფროსების 2010 წლის 18 მარტით დათარიღებული წერილები. ამ წერილებში მითითებული

იყო იმ საკნების საიდენტიფიკაციო ნომრები, რომლებშიც მოთავსებული იყვნენ მომჩივნები და მოცემული იყო საკნების პირობების დეტალური აღწერა, მომჩივნების იქ ყოფნის პერიოდში. ამ თვალსაზრისით, პირველი მომჩივნის საკანს ჰქონდა ფანჯარა, რომელიც უზრუნველყოფდა ბუნებრივ სინათლესა და სუფთა ჰაერზე წვდომას, საკანი იყო სუფთა და აღჭურვილი დასაშვები საექსპლუატაციო მდგომარეობისა და სისუფთავის ტუალეტით, რომელიც სათანადოდ იყო იზოლირებული საცხოვრებელი ფართისგან. პირველ მომჩივანს ჰქონდა კვირაში ერთხელ შხაპის მიღების შესაძლებლობა, დღეში სამჯერ მიეწოდებოდა საკვები, რომლის ხარისხიც არასდროს გამხდარა მისი ან რომელიმე სხვა პატიმრის საჩივრის საგანი და მას ყოველდღიურად ეძლეოდა ერთსაათიანი გასეირნების საშუალება, როგორც ეს კანონით არის გათვალისწინებული. მეორე მომჩივანი იდენტურ პირობებში იყო მოთავსებული. დამატებით აღინიშნა, რომ ამ უკანასკნელის საკნის ფართობი 12 კვადრატულ მეტრს შეადგენდა და რომ მას ჰქონდა შესაძლებლობა, თვეში ერთხელ ესარგებლა ხანგრძლივი პაემანით.

95. ამის საპასუხოდ, მომჩივნები ზოგადად აცხადებდნენ, რომ ისინი პატიმრობაში იმყოფებოდნენ ისეთ პირობებში, რომლებიც არ შეესაბამებოდა ადამიანურ ღირსებას. მათ არ მოუწოდებიათ საკუთარი დეტალური ვერსიები მათ საკნებში არსებული ფაქტობრივი მდგომარეობის შესახებ, თუმცა მიუთითეს წამების საწინააღმდეგო კომიტეტის მიერ საქართველოში 2001 და 2007 წლებში განხორციელებული ვიზიტების ორ ანგარიში, ასევე საქართველოს სახალხო დამცველის მიერ ქართული საპრობილექების მონიტორინგის 2005 წლის მეორე ნახევრის ანგარიში.

(ბ) სასამართლოს შეფასება

96. იმ დროისთვის საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული პატიმრობის პირობების თვალსაზრისით, შესაბამის პრეცედენტულ სამართალზე დაყრდნობით, სასამართლო კვლავ ხაზს უსვამს იმ წესს, რომლის თანახმადაც, ყოველთვის, როდესაც მომჩივანს სურდა გაესაჩივრებინა საქართველოს საპატიმროში სავარაუდოდ არსებული პატიმრობის ცუდი პირობები, მაშინაც კი, როდესაც ასეთ საჩივარს არ მოეთხოვებოდა რაიმე კონკრეტული სისხლის სამართლებრივი თუ სამოქალაქო სამართლის დაცვის მექანიზმების სრული ამოწურვა (შედარებისთვის იხ. გოგინაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, №47729/08, §§ 54 და 57, 4 ოქტომბერი, 2011 წ. და ალიევი საქართველოს წინააღმდეგ, №522/04, §62 და 63, 2009 წლის 13 იანვარი), როგორც მინიმუმ, მაინც მოეთხოვებოდა, რომ სულ მცირე ერთი პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყება მაინც ყოფილიყო ინფორმირებული მომჩივნის სუბიექტური შეფასების თაობაზე, რომ კონკრეტული პატიმრობის პირობები ლახავდა ადამიანის ღირსებას. შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე ასეთი საფუძვლიანი მიდგომის გარეშე იმ პირის მხრიდან, რომელსაც სურვილი ჰქონდა, სტრასბურგში გაესაჩივრებინა პატიმრობის პირობები, სასამართლოს აუცილებლად გაუჭირდებოდა მომჩივნის მიერ მოცემულ ფაქტთან დაკავშირებით წარდგენილი პრეტენზიის სანდოობის შეფასება ამ თვალსაზრისით (იხ. ჯანიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ, №35887/05, § 70, 27 ნოემბერი, 2012 წ. და რამიშვილი და კოხრეიძე საქართველოს წინააღმდეგ (დეკ.), №1704/06, 2007 წლის 26 ივნისი).

97. საქმეში არსებული მასალების გათვალისწინებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ ამ ორი მომჩივნიდან არცერთს და არასდროს უცნობებია რომელიმე შესაბამისი ორგანოსთვის თბილისის №1 ან №7 საპატიმროს საკნებში მათი წინასწარი პატიმრობის პირობების რომელიმე კონკრეტული ასპექტით უკმაყოფილების შესახებ. მომჩივნებს არც სასამართლო პროცესებზე უხსენებიათ მათი დაკავების რაიმე კონკრეტული ასპექტი, რომელიც, სავარაუდოდ, წარმოადგენდა ადამიანის ღირსების შელახვას, თუ არ ჩავთვლით ციხეების მონიტორინგის საერთაშორისო და ეროვნული ორგანოების მიერ გაკეთებული დასკვნების აბსტრაქტულ ციტირებას. მხოლოდ მთავრობამ წარმოადგინა დოკუმენტები, რომელთა თანახმადაც მომჩივანთა პატიმრობის რიგი კონკრეტული ასპექტები შეესაბამებოდა ადეკვატურ სტანდარტს, მტკიცებულებები, რომლებიც შედავების გარეშე იქნა დატოვებული რაიმე საწინააღმდეგო მტკიცებულებების ან შესაბამისად, საკნებში არსებული დეტალური პირობების თაობაზე საკუთარი ვერსიების წარმოდგენის გარეშე, რომლებშიც იმყოფებოდნენ მომჩივნები (შეადარე, სხვა ავტორიტეტულ წყაროებთან ერთად, *Muršić v. Croatia* [GC], no. 7334/13, § 97, ECHR 2016; *Ananyev and Others v. Russia*, nos. 42525/07 and 60800/08, § 122, 10 January 2012; *Janiashvili*, cited above, § 71; *Ildani v. Georgia*, no. 65391/09, §§ 26 and 27, 23 April 2013; *Visloguzov v. Ukraine*, no. 32362/02, § 45, 20 May 2010; *Shkurenko v. Russia* (dec.) no. 15010/04, 10 September 2009, and also *Ukhan v. Ukraine*, no. 30628/02, § 65, 18 December 2008).

98. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ მომჩივანთა საჩივარი მათი პატიმრობის პირობების შესახებ №1 და №7 საპატიმროებში არ იყო სათანადოდ დასაბუთებული. შესაბამისად, საჩივრის ეს ნაწილი აშკარად უსაფუძვლოა და უარყოფილი უნდა იქნას კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 (ა) და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

2. რაც შეეხება პირველი მომჩივნისადმი განხორციელებულ სავარაუდო არასათანადო მოპყრობას

99. მთავრობას არ წარმოუდგენია არანაირი პრეტენზია, 2004 წლის 13 მაისის არასათანადო მოპყრობის თაობაზე, პირველი მომჩივნის საჩივრის მისაღებობის შესახებ.

100. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად უსაფუძვლო კონვენციის 35 § 3 (ა) მუხლის ფარგლებში. იგი ასევე არ არის მიუღებელი რაიმე სხვა მიზეზით. აქედან გამომდინარე, საჩივარი უნდა გამოცხადდეს მისაღებად.

ბ) საქმის არსებითი გარემოებები

1. მხარეთა არგუმენტები

101. მთავრობამ აღნიშნა, რომ პირველი მომჩივნის ბრალდება 2004 წლის 13 მაისს თბილისის პოლიციის სამმართველოში პოლიციის მხრიდან არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებით არ დადასტურებულა გონივრულ ეჭვს ფარგლებს მიღმა სტანდარტით, შესაბამისი სამედიცინო ცნობების ან სხვა მტკიცებულების არარსებობის გამო, რომლებიც უდავოდ დაადასტურებდნენ მომჩივნის სხეულზე ფიზიკური ძალადობის ნიშნების არსებობას. ისინი განაგრძობდნენ იმის მტკიცებას, რომ ეს იყო პირველი მომჩივნის შეცდომა, რომ მან არ მოთხოვა სამედიცინო გამოკვლევა უშუალოდ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შემდგომ პერიოდში. მას ასევე არ უცნობებია არასათანადო მოპყრობის შესახებ სახაზინო ადვოკატისთვის, რომელიც მას დაუნიშნეს 2004 წლის 13 მაისს, ან №7 საპყრობილის ექიმისთვის, მისი იქ მოთავსების შემდეგ – 2004 წლის 16 მაისს. რაც შეეხება შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების პოზიტიურ ვალდებულებებს, რაც გათვალისწინებულია კონვენციის მე-3 მუხლით, მთავრობამ განაცხადა, რომ როგორც კი მომჩივნის მეუღლემ პირველად იჩივლა პროკურატურაში, მისი ქმრის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის თაობაზე – 2004 წლის 8 ოქტომბერს, გამოძიება დაუყოვნებლივ იქნა დაწყებული. მთავრობამ მიუთითა ხსენებული ორგანოს მიერ განხორციელებულ ყოვლისმომცველ საგამოძიებო ქმედებებზე (იხ. 52-ე პარაგრაფი ზემოთ). ამ უკანასკნელი გამოკვლევის შედეგების საფუძველზე მიღებულ იქნა 2004 წლის 17 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმის დახურვის შესახებ ფაქტების არარსებობის გამო, რომლებიც შეიძლება ყოფილიყო სისხლის სამართლის დანაშაულის შემცველი. ამ დასკვნების გათვალისწინებით, შესაბამისმა საგამოძიებო ორგანომ არ მიიჩნია საჭიროდ, მომჩივნის ჩართვა გამოძიებაში, მისთვის დაზარალებულის სტატუსის მინიჭების გზით.

102. პირველმა მომჩივანმა უპასუხა, რომ როგორც კი მან საკუთარი არჩევანით აიყვანა ადვოკატი 2004 წლის 4 ივნისს, დაუყოვნებლივ აცნობა შესაბამის ორგანოებს არასათანადო მოპყრობის შესახებ, რომელსაც მის მიმართ ჰქონდა ადგილი 2004 წლის 13 მაისს და მოითხოვა სამედიცინო გამოკვლევა. მან შემდგომში, განმეორებით, ბევრჯერ წარადგინა ეს საჩივრები პროკურატურის ორგანოებში. ყველა ხსენებულ საჩივარში ის თანამიმდევრულობას ინარჩუნებდა ინციდენტთან დაკავშირებული ფაქტობრივ გარემოებების აღწერისას. პირველმა მომჩივანმა შემდეგ ხაზი გაუსვა სხვადასხვა მოწმის მიერ სასამართლო პროცესზე გაკეთებულ განცხადებებს, რომლებიც ადასტურებდნენ მის სხეულზე ფიზიკური დაზიანებების არსებობას და რომ ეს განცხადებები შემდგომში გათვალისწინებულ იქნა ეროვნული სასამართლოების მიერ მათ გადაწყვეტილებებში. რაც შეეხება მისი მეუღლის 2004 წლის 8 ოქტომბრის სისხლის სამართლის საჩივრის საფუძველზე დაწყებული გამოძიების არაეფექტიანობას, პირველმა მომჩივანმა განაცხადა პირველ რიგში, რომ გამოძიება იმ დროისათვის უკვე დაგვიანებული იყო და საგამოძიებო ორგანოებს სათანადო გულდასმით უნდა განეხილათ მისი წინა საჩივრები, რომლებიც შედგენილი იყო ჯერ კიდევ 2004 წლის 4 ივნისს. პირველმა მომჩივანმა ასევე გააკრიტიკა ის ფაქტი, რომ მას არასდროს ჰქონია დაზარალებულის სტატუსი და არც გამოძიებაში ყოფილა ჩართული. და ბოლოს, იმ ფაქტზე, რომ სისხლის სამართლის საქმის გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობდა, მიუთითა, რომ შიდასახელმწიფოებრივ დონეზე, მომჩივანმა დაასკვნა, რომ კომპეტენტური ორგანოების მიერ რაიმე კონკრეტული დასკვნების გამოტანის შეუძლებლობა, გამოძიების არაეფექტიანობის მთავარი მაჩვენებელი იყო.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

103. სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ ყველაზე რთულ ვითარებებშიც კი, როგორიცაა ტერორიზმისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, კონვენციის მე-3 მუხლი ცალსახად კრძალავს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავ მოპყრობას ან დასჯას (იხ. საქმე

Selmouni v. France [GC], no. 25803/94, § 95, ECHR 1999-V, and Bouyid v. Belgium [GC], no. 23380/09, § 81, ECHR 2015). იმ შემთხვევებში, როდესაც ხდება პრეტენზიების წამოყენება კონვენციის მე-3 მუხლის საფუძველზე, სასამართლომ უნდა ჩაატაროს განსაკუთრებით საფუძვლიანი შემოწმება და ეს უნდა გააკეთოს მხარეთა მიერ წარმოდგენილი ყველა მასალის საფუძველზე. მტკიცებულებების შეფასებისას სასამართლომ მიიღო მტკიცებულების სტანდარტი „გონივრული ეჭვის მიღმა“. თუმცა ამგვარი მტკიცებულება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ძლიერი, მკაფიო და თანმიმდევრული დასკვნების თანაარსებობიდან ან ფაქტის ანალოგიური უდავო პრეზუმფიიდან. გარდა ამისა, როდესაც განსახილველი მოვლენები მთლიანად ან მეტწილად არის კომპეტენტური ორგანოების ექსკლუზიური ცოდნის ფარგლებში, როგორც ამას აქვს ადგილი მათი კონტროლის ქვეშ პატიმრობაში მყოფი პირების შემთხვევაში წარმოიქმნება ფაქტის ძლიერი პრეზუმფიცია პატიმრობის დროს მიღებულ დაზიანებებთან მიმართებით. ამ შემთხვევაში მტკიცების ტვირთი მთავრობას ეკისრება, რათა მის მიერ მოწოდებულ იქნეს დამაკმაყოფილებელი და დამაჯერებელი განმარტება იმ მტკიცებულებათა წარმოდგენის გზით, რომლებიც ეჭვქვეშ აყენებენ მომხდარი მოვლენების დაზარალებულის მიერ შემოთავაზებულ ვერსიას (იხ. Bouyid, მოხსენიებული ზემოთ, §§ 82-83).

104. ყოველთვის, როდესაც პირი აკეთებს სარწმუნო განცხადებას, რომ მის მიმართ პოლიციის ან სახელმწიფოს სხვა მსგავსი უწყებების მხრიდან ადგილი ჰქონდა მოპყრობას, რომელიც არღვევს მე-3 მუხლს, ივარაუდება, რომ ეს დებულება, კონვენციის პირველი მუხლით გათვალისწინებული სახელმწიფოს საერთო ვალდებულებასთან ერთად, „უზრუნველყოს მათი იურისდიქციის ქვეშ მყოფი ყველა ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც განსაზღვრულია ... კონვენციაში“, მოითხოვს ეფექტური ოფიციალური გამოძიების ჩატარებას. ასეთ გამოძიებას უნდა შეეძლოს პასუხისმგებელი პირების დადგენა და დასჯა (იხ. Labita v. Italy [GC], no. 26772/95, § 131, ECHR 2000-IV). ეს რომ ასე არ ყოფილიყო, წამების, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისა და დასჯის ზოგადი სამართლებრივი აკრძალვა, მისი ფუნდამენტური მნიშვნელობის მიუხედავად, პრაქტიკულად არაეფექტური იქნებოდა და ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფოს უწყებებს შეეძლებოდათ მათი კონტროლის ქვეშ მყოფთა უფლებების, ფაქტობრივად, დაუსჯელად ხელყოფა (ibidem). არასათანადო მოპყრობის სერიოზული ბრალდებების ნებისმიერი გამოძიება უნდა იყოს როგორც სწრაფი, ასევე საფუძვლიანი. ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება ყოველთვის სერიოზულად უნდა ეცადოს იმის გარკვევას, თუ რა მოხდა და გამოძიების დასახურად არ უნდა დაეყრდნოს ნაჩქარევ და არასათანადოდ დასაბუთებულ დასკვნებს და არ უნდა გამოიყენოს ისინი თავისი გადაწყვეტილების საფუძველად. გამოძიების ნებისმიერი ნაკლოვანება, რომელიც ძირს უთხრის მის უნარს, დაადგინოს დაზიანებების მიზეზი ან გამოავლინოს პასუხისმგებელი პირების ვინაობა, წარმოშობს ხსენებულ სტანდარტთან წინააღმდეგობაში მოსვლის რისკს (იხ. El-Masri v. the former Yugoslav Republic of Macedonia [GC], no. 39630/09, § 183, ECHR 2012).

(ზ) ზემოხსენებული პრინციპების გამოყენება საქმის გარემოებებთან მიმართებით

105. თავდაპირველად, და მთავრობის იმ არგუმენტზე საპასუხოდ, რომ პირველი მომჩივნის შეცდომა იყო, რომ მან არ იჩივლა პოლიციის მხრიდან სავარაუდო ძალადობის თაობაზე და უფრო დროულად ვერ მოახერხა სამედიცინო ცნობის მიღება (იხ. პარაგრაფი 101 ზემოთ), სასამართლო აღნიშნავს, რომ 2004 წლის 4 ივნისამდე მომჩივანს არ შეეძლო ესარგებლა ისეთი პიროვნებისგან იურიდიული დახმარების მიღებით, ვის ნდობასაც ის შეძლებდა, მისი საკუთარი პერსპექტივიდან, ე. ი. მისი ოჯახის მიერ მისთვის დანიშნული ადვოკატისგან (იხ. პარაგრაფი 12 ზემოთ). შესაბამისად, სარწმუნოა, რომ ამ თარიღამდე ის თავს იკავებდა რაიმე საჩივრის გახმოვანებისგან, რადგან პირისპირ იქნა დატოვებული იმ პოლიციელებთან, რომლებსაც ის უშუალოდ დებდა ბრალს წამებაში და ციხის იმ თანამშრომლებთან, რომლებსაც, მისი აზრით, შესაძლოა ჰქონოდათ მჭიდრო ოფიციალური კავშირები სავარაუდო დამნაშავეებთან, როდესაც ის მთელი ამ ხნის განმავლობაში მოკლებული იყო გარე სამყაროსგან რაიმე მნიშვნელოვანი დახმარების მიღების შესაძლებლობას (შეადარეთ, მაგალითად, Dvalishvili v. Georgia, no. 19634/07, §§ 44 and 47, 18 December 2012; Nechiporuk and Yonkalo v. Ukraine, no. 42310/04, § 153, 21 April 2011, and Nadrosov v. Russia, no. 9297/02, § 33, 31 July 2008). მეორე მხრივ, სასამართლო აღნიშნავს, რომ 2004 წლის 4 ივნისს, როგორც კი მას ჰყავდა მის მიერ არჩეული ადვოკატი, პირველმა მომჩივანმა დაუყოვნებლივ აცნობა შესაბამის ორგანოებს 2004 წლის 13 მაისს მის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობის შესახებ. ეს საჩივრები მან გაუმეორა პროკურატურას 2004 წლის 15 და 18 ივნისს, 7 სექტემბერს და 8 და 21 ოქტომბერს (იხ. პარაგრაფები 23, 25-26, 42, 46 და 48 ზემოთ). ყველა ამ საჩივარში პირველმა მომჩივანმა შეინარჩუნა განსაკუთრებული თანმიმდევრულობა, როდესაც აღწერდა ინციდენტთან დაკავშირებულ ზუსტ ფაქტობრივ გარემოებებს. თითოეულ შემთხვევაში მან დაასახელა არასათანადო მოპყრობაში ჩართული პოლიციელების ვინაობები, მათ შორის კ. ჩ., დ. ე. და დ. კ., და

აღწერა ფიზიკური არასათანადო მოპყრობის ზუსტი ფორმა – ელექტროშოკები და კისერზე რკინის კვადრატული ბოქლომით ცემა. გარდა ამისა, მან თანმიმდევრულად აღწერა, თუ როგორ დაემუქრნენ პოლიციელები სიკვდილით მის ცოლს და იარაღის მუქარით აიძულეს იგი ხელი მოეწერა აღიარებით ჩვენებაზე.

106. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პირველივე შესაძლებლობისთანავე, 2004 წლის 4 ივნისს, მისმა არჩეულმა ადვოკატმა მოითხოვა სამედიცინო გამოკვლევა პირველი მომჩივნის მიმართ არასათანადო მოპყრობის ნიშნების გამოვლენის მიზნით. მიუხედავად ამ ადრეულ ეტაპზე გაჟღერებული მოთხოვნისა, ხელისუფლებამ არ ჩაატარა გამოკვლევა, სანამ არ გავიდა სამი თვე (იხ. 35-ე პარაგრაფი ზემოთ). მთავრობას არ წარუდგენია ახსნა-განმარტება იმის შესახებ, თუ რატომ დასჭირდა შესაბამის სახელმწიფო ექსპერტს ამდენი დრო გამოკვლევის ჩასატარებლად და საბოლოო ჯამში, რატომ აღმოჩნდა ეს გამოკვლევა ზედაპირული. კერძოდ, სასამართლო აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ექსპერტმა თავი არც კი შეიწუხა პირველი მომჩივნის მონახულებითა და მისი პირადად გამოკვლევით, არამედ ამის ნაცვლად ის შემოიფარგლა მისი ორი რენტგენული სურათის შემოწმებით, რომელთაგან ერთზე გამოსახული იყო მომჩივნის გულმკერდის არე, ხოლო მეორეზე – მისი თავის ცალი მხარე (იხ. 35-ე პარაგრაფი ზემოთ). ასეთ გარემოებებში სასამართლო ადგენს, რომ შესაბამისი სახელმწიფო სამედიცინო პერსონალის მხრიდან იმის ვერ უზრუნველყოფით, რომ მომჩივნის დაზიანებები დროულად და ადეკვატურად ყოფილიყო გამოკვლეული და დოკუმენტირებული, მომჩივანს წაერთვა მნიშვნელოვანი გარანტია იმისა, რომ არ დარღვეულიყო კონვენციის მე-3 მუხლი (შეადარეთ, *mutatis mutandis* Zayev v. Russia, no. 36552/05, §§ 85-86, 16 April 2015; *Davitidze v. Russia*, no. 8810/05, § 95, 30 May 2013; *Barabanshchikov v. Russia*, no. 36220/02, § 46, 8 January 2009, and *Dvalishvili* მოხსენიებული ზემოთ, §48).

107. ამ გარემოებების მიუხედავად, თვით დაგვიანებულმა სამედიცინო შემოწმებამაც კი, რომელიც პირველი მომჩივნის ოჯახის თხოვნით ჩატარდა 2004 წლის 29 სექტემბერს კერძო ექსპერტების მიერ და პირველად მოიცავდა მომჩივნის პირად ყოვლისმომცველ გამოკვლევას, გამოავლინა ფიზიკური და ფსიქოლოგიური ეფექტების არსებობა, რომლებიც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო იმ ტიპის არასათანადო მოპყრობის შედეგად, რომელიც საჩივარში იყო მოხსენიებული (იხ. 48-ე პარაგრაფი ზემოთ). აღნიშნული სამედიცინო დასკვნები შემდგომში მეტწილად დადასტურებულ იქნა პირველი მომჩივნის მიმართ სახელმწიფო ექსპერტების მიერ ჩატარებული ორი დამატებითი სამედიცინო გამოკვლევის, 2004 წლის 19 ოქტომბრისა და 15 ნოემბრის ანგარიშებით და დამტკიცებულ იქნა ეროვნული სასამართლოების მიერ, როგორც ფიზიკური ძალადობის ნიშნების მტკიცებულება, რომელიც მოითხოვდა სათანადო გამოძიების ჩატარებას (იხ. პარაგრაფი 51 ზემოთ). სასამართლო, ასევე აღნიშნავს, რომ სხვადასხვა შესაბამისმა მოწმეებმა, რომლებმაც ნახეს პირველი მომჩივანი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის დღეს ან მოკლე ხანში მას შემდეგ, სასამართლო პროცესზე განაცხადეს, რომ მათ შენიშნეს ფიზიკური დაზიანებები, რომლებიც აღენიშნებოდა პირველ მომჩივანს (იხ. 63-ე პარაგრაფი ზემოთ). უფრო მეტიც, თავად მთავრობას არასდროს წარუდგენია სასამართლოში რაიმე ალტერნატიული განმარტება მომჩივნის სხეულზე შესაძლო არასათანადო მოპყრობის ნიშნების წარმოშობასთან დაკავშირებით, რის გამოც მომჩივნის თანმიმდევრული ბრალდებები უფრო დამაჯერებლად გამოიყურება. სასამართლო, ასევე, მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ გაეროს სპეციალური მომხსენებელი შეხვდა რამდენიმე დაკავებულ პირს, მათ შორის პირველ მომჩივანსაც და ზოგადად განაცხადა, რომ აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით, ეჭვმიტანილთა და ბრალდებულთა მიმართ არასათანადო მოპყრობის პრაქტიკა სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მხრიდან, იმ დროისთვის, ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებობდა (იხ. პარაგრაფები 87-89 ზემოთ და შეადარეთ, *mutatis mutandis*, with *Nechiporuk and Yonkalo*, cited above, § 158; *Tarasov v. Ukraine*, no. 17416/03, § 63, 31 October 2013, and *Zamferesko v. Ukraine*, no. 30075/06, § 48, 15 November 2012).

108. რაც შეეხება კითხვას, შეიძლება თუ არა ითქვას, რომ შიდასახელმწიფოებრივი ორგანოების მიერ ჩატარებული სისხლის სამართლის გამოძიება იყო ადეკვატური, სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, იმეორებს თავის დასკვნას ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების აუხსნელი უმოქმედობის თაობაზე, როდესაც მათ ვერ მოახერხეს მომჩივნის სამედიცინო შემოწმების დაუყოვნებლივ ჩატარება მას შემდეგ, რაც მან შეიტანა საჩივარი სავარაუდო არასათანადო მოპყრობის შესახებ (იხ. წინა პარაგრაფი). ამ კონკრეტულ ხარვეზს უდავოდ აქვს დამაზიანებელი ზეგავლენა მოპასუხე სახელმწიფოს საერთაშორისო ვალდებულებების არსებით და პროცედურულ ასპექტებზე, რომლებიც გათვალისწინებულია კონვენციის მე-3 მუხლით. მეორეც ის, რომ სასამართლოსთვის რთული გასაგებია, თუ რატომ არ მოხდა პირველი მომჩივნის დაზარალებულად ცნობა შემდგომი სისხლისსამართლებრივი გამოძიების მსვლელობისას იმის მიუხედავად, რომ მას შეტანილი ჰქონდა საჩივარი მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის სერიოზული დანაშაულის ჩადენის თაობაზე. შედეგად, მან ვერ შეძლო, ესარგებლა ხსენებული სტატუსისთვის გათვალისწინებული ძირითადი პროცედურული უფლებებით (იხ. სისხლის

სამართლის საპროცესო კოდექსის 69-ე მუხლი, მოხსენიებული 86-ე პარაგრაფში ზემოთ), რის გარეშეც მას არ შეეძლო გამოძიებაში მონაწილეობის მიღება (იხ. Denis Vasilyev v. Russia, no. 32704/04, § 126, 17 December 2009). ადგილობრივმა სასამართლოებმა 2004 წლის დეკემბერში და 2005 წლის თებერვალში განაცხადეს, რომ არასათანადო მოპყრობის თაობაზე მომჩივნის საჩივრის გამოძიება არაჯეროვანი იყო და საჭირო იყო სხვა გამოძიების ჩატარება. თუმცა, სასამართლოების მკაფიო განკარგულების მიუხედავად, რომ ჩატარებულიყო ადეკვატური გამოძიება არასათანადო მოპყრობის პრეტენზიებთან დაკავშირებით, საქმის მასალებიდან არ ჩანს, რომ საგამოძიებო ორგანოების მიერ დროის რომელიმე მომენტისთვის მიღწეულ იქნა რაიმე კონკრეტული შედეგი, მაშინ როდესაც შესაბამისი სამართალწარმოება სისხლის სამართლის საქმეზე კვლავ მიმდინარეობს (იხ. პარაგრაფი 57 ზემოთ).

109. მთლიანობაში, სასამართლო სავსებით დასაბუთებულად მიიჩნევს იმას, რომ პირველ მომჩივანს სხეულზე ემჩნეოდა იმ არასათანადო მოპყრობის კვალი, რომელსაც ის სისტემატურად აღწერდა და რის თაობაზეც, ჩიოდა ეროვნულ დონეზე. შიდასახელმწიფო ორგანოებმა აშკარად ვერ შეძლეს მის საჩივრებზე საფუძვლიანი და სწრაფი გამოძიების ჩატარება (იხ. წინა პარაგრაფი) და მთავრობას არც კი უცდია არასათანადო მოპყრობის ამ კვალის წარმოშობის შესახებ ალტერნატიული, დამაჯერებელი განმარტების წარდგენა. ასეთ გარემოებებში, სასამართლო, ითვალისწინებს ხელისუფლების ორგანოების ვალდებულებას, პასუხი აგონ მათ კონტროლქვეშ პატიმრობაში მყოფ პირთათვის მიყენებულ დაზიანებებზე (იხ. Shlychikov v. Russia, no. 40852/05, § 68, 9 February 2016, and Ryabtsev v. Russia, no. 13642/06, § 71, 14 November 2013), მიაჩნია გონივრული ეჭვს მიღმა დასაბუთებულად, რომ პირველი მომჩივნის მიმართ ადგილი ჰქონდა პოლიციის სისასტიკეს მისი დაკავების შემდეგ – 2004 წლის 13 მაისს, თბილისის პოლიციის სამმართველოში. ითვალისწინებს არასათანადო მოპყრობის კონკრეტულ ტიპს – ელექტროშოკის გამოყენებასა და რკინის ბოქლომით ცემას – ჩადენილს მომზადებული პოლიციელების მიერ პირველი მომჩივნის მიმართ მისგან აღიარებითი ჩვენების მიღების ერთადერთი მიზნით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეს წარმოადგენს მომჩივნის ფიზიკურ ხელშეუხებლობისა და ღირსების სერიოზულ შელახვას, რომელიც, შესაბამისად, ხასიათდება, როგორც წამება კონვენციის მე-3 მუხლის მნიშვნელობით (იხ. Pomilyayko v. Ukraine, no. 60426/11, § 51, 11 February 2016; Myumyun v. Bulgaria, no. 67258/13, § 62, 3 November 2015; Grigoryev v. Ukraine, no. 51671/07, § 64, 15 May 2012, and Polonskiy v. Russia, no. 30033/05, § 124, 19 March 2009).

110. ამრიგად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-3 მუხლის არსებითი და პროცედურული ნაწილების დარღვევას.

II. კონვენციის მე-5 მუხლის §1-ის სავარაუდო დარღვევა

111. აღნიშნავდნენ კონვენციის მე-5 მუხლის პირველ პუნქტს, ორივე მომჩივანი აცხადებდა, რომ მათი პატიმრობა 2005 წლის 13 იანვრიდან, სასამართლოს მიერ სანქცირებული მათი პატიმრობაში ყოფნის 8-თვიანი ვადის ამოწურვის თარიღიდან, 2005 წლის 7 ივნისამდე, სასამართლოსთვის მათი საქმის გადაცემის თარიღამდე, იყო უკანონო. კონვენციის ეს დებულება, მოცემულ საკითხთან მიმართებით, იკითხება შემდეგნაირად:

მე-5 მუხლი

„1. ...არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, თუ არა კანონით დადგენილი პროცედურის შესაბამისად და გარდა შემდეგი შემთხვევებისა:

გ) პირის კანონიერი დაკავება ან დაპატიმრება, უფლებამოსილი სამართლებრივი ორგანოს წინაშე მის წარსადგენად, როდესაც არსებობს ამ პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის საფუძვლიანი ეჭვი...“

ა) მისაღებობა

112. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არ არის აშკარად უსაფუძვლო კონვენციის 35-ე მუხლის 3(ა) ქვეპუნქტის მნიშვნელობით. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ის არ არის დაუშვებელი რაიმე სხვა მიზეზებით. აქედან გამომდინარე, ის უნდა გამოცხადდეს მისაღებად.

ბ) საქმის არსებითი გარემოებები

113. მთავრობამ განაცხადა, რომ იმ დროისთვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამისი დებულებების თანახმად, ის ფაქტი, რომ საქმე გადაეგზავნა პირველი ინსტანციის სასამართლოს, საკმარისი იყო იმისთვის, რომ პატიმრობა დაქვემდებარებოდა „სასამართლო

ზედამხედველობას“. მთავრობამ დაუმატა, რომ ასეთი პრაქტიკა აღარ გამოიყენება.

114. საპასუხოდ, მომჩივნებმა განაცხადეს, რომ მათი პატიმრობაში ყოფნა 2005 წლის 13 იანვრიდან 7 ივნისის ჩათვლით იყო უკანონო, რადგანაც მათზე არ ვრცელდებოდა სასამართლოს ძალაში მყოფი გადაწყვეტილება.

115. სასამართლო აღნიშნავს, რომ მან რამდენიმე, მათ შორის საქართველოს წინააღმდეგ გამოტანილ, საქმეში უკვე დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევა, რომელიც დაკავშირებულია ბრალდებულთა პატიმრობაში ყოფნის პრაქტიკასთან, სასამართლოს განკარგულების გარეშე, მხოლოდ იმ ფაქტის საფუძველზე, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში შეტანილ იქნა საბრალდებო დასკვნა (იხ., სხვა ავტორიტეტულ წყაროებთან ერთად, Khudoyorov v. Russia, no. 6847/02, §§ 146-147, ECHR 2005-X (extracts); Baranowski v. Poland, no. 28358/95, §§ 53-58, ECHR 2000-III; Ječius v. Lithuania, no. 34578/97, §§ 60-64, ECHR 2000-IX; Ramishvili and Kokhraidze v. Georgia, no. 1704/06, § 106 111, 27 January 2009, and Gigolashvili v. Georgia, no. 18145/05, §§ 32-36, 8 July 2008).

116. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საჩივარი არ განსხვავდება ზემოთ მითითებული რამიშვილისა და კოხრაიძის ან გიგოლაშვილის საქმეებისგან, მოცემულ დროს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასა და არსებულ პრაქტიკაში იმავე ხარვეზების არსებობის გამო. აქედან გამომდინარე, ოთხი თვის და ოცდახუთი დღის განმავლობაში, 2005 წლის 13 იანვრიდან და 7 ივნისამდე, არ არსებობდა სასამართლო გადაწყვეტილება, რითაც სანქცირებული იქნებოდა მომჩივანთა პატიმრობაში ყოფნა (იხ. 111-ე პარაგრაფი ზემოთ). ის ფაქტი, რომ სისხლის სამართლის საქმის მასალები და საბრალდებო დასკვნა პირველი ინსტანციის სასამართლოში იქნა გადაგზავნილი, არ იძლეოდა იმის უფლებას, რომ პატიმრობის დარღვევით ვადა „კანონიერად“ ყოფილიყო მიჩნეული კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით (იხ. გიგოლაშვილი, მოხსენიებული ზემოთ, §36).

117. ამგვარად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის დარღვევას პატიმრობის ხსენებული პერიოდის თვალსაზრისით.

III. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

118. მომჩივნები აცხადებდნენ, რომ სასამართლოს გადაწყვეტილებები, მათი წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე, 2004 წლის 10 ნოემბრიდან მოყოლებული, არ იყო სათანადოდ დასაბუთებული. ისინი ეყრდნობოდნენ კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტს, რომლის შესაბამისი დებულების თანახმად:

1-ლი (გ) პუნქტით გათვალისწინებულ დებულებათა შესაბამისად ყველა დაკავებული თუ დაპატიმრებული პირის საქმეს განიხილავს სასამართლო გონივრულ ვადაში, ან ეს პირი გათავისუფლდება საქმის განხილვის განმავლობაში. ასეთი გათავისუფლება შეიძლება პირობადებული იყოს სასამართლოში მისი გამოცხადების რაიმე გარანტიით“

ა) მისაღებობა

119. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივარი არ არის ამგვარად უსაფუძვლო კონვენციის 35-ე მუხლის 3(ა) ქვეპუნქტის მნიშვნელობით. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ის არ არის მიუღებელი სხვა რომელიმე მიზეზით. აქედან გამომდინარე, ის უნდა გამოცხადდეს მისაღებად.

ბ) საქმის არსებითი გარემოებები

1. მხარეთა არგუმენტები

120. მთავრობამ აღიარა, რომ განსახილველი მოვლენების დროს მოქმედი შესაბამისი სასამართლო პრაქტიკა არ იყო კონცენტრირებული ამა თუ იმ კონკრეტული საქმისთვის დამახასიათებელი არგუმენტების მითითებაზე, წინასწარი პატიმრობის გასამყარებლად. თუმცა პატიმრობის განჩინებებში კონკრეტული არგუმენტების ხშირ ნაკლებობას ახალანსებდა ის, რომ მხარეებს, როგორც წესი, სიტყვიერი ფორმით მოჰყავდათ ყველა შესაბამისი არგუმენტი სასამართლო პროცესებზე. მთავრობამ დაამატა, რომ ასეთი პრაქტიკა უკვე წარსულს ჩაჰბარდა და ქვეყნის სასამართლოებმა დაიწყეს მათ მიერ პატიმრობის თაობაზე გაცემულ განკარგულებებში შესაბამისი, კონკრეტული საქმისთვის დამახასიათებელი არგუმენტების მითითება.

121. მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ შიდა სასამართლოებს არ დაუსახელებიათ რაიმე კონკრეტული

მიზეზი იმისა, თუ რატომ იყო ასე მკაცრად აუცილებელი, მათი პატიმრობაში დატოვება, ამ საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. ხსენებული უმოქმედობა წარმოადგენდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას.

2. სასამართლოს შეფასება

122. სასამართლო აღნიშნავს, რომ პატიმრობის პერიოდის დასაბუთებულობა არ შეიძლება შეფასდეს აბსტრაქტულად. უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ იმის გადასაწყვეტად, იყო თუ არა წინასწარი პატიმრობა დასაბუთებული კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სასამართლო არსებითად უნდა ეყრდნობოდეს ქვეყნის სასამართლო ორგანოების შესაბამის გადაწყვეტილებებში მითითებულ მიზეზებსა და მომჩივნების მიერ გათავისუფლების შუამდგომლობაში მოყვანილ არგუმენტებს. ეს გადაწყვეტილებები უნდა შეიცავდეს „სათანადო“ და „საკმარის“ დასაბუთებას და ითვალისწინებდეს მოცემული საქმის კონკრეტულ თავისებურებებს თავისუფლების აღკვეთის დასაბუთების მიზნით (იხ. *Buzadji v. the Republic of Moldova* [GC], no. 23755/07, § 87, ECHR 2016 (extracts); *Kudła v. Poland* [GC], no. 30210/96, § 110, ECHR 2000XI, and *Michta v. Poland*, no. 13425/02, §§ 45 and 46, 4 May 2006).

123. სასამართლო აღნიშნავს, რომ მომჩივნები დააკავეს 2004 წლის 13 მაისს და დამნაშავედ იქნენ ცნობილნი 2007 წლის 26 თებერვალს. შესაბამისად, კონვენციის მე-5 მუხლის 1 (გ) ქვეპუნქტის მიზნებისათვის, პატიმრობის საერთო ვადა შეადგენს ოცდაცამეტ თვესა და ცამეტ დღეს. მომჩივანთა წინასწარი პატიმრობა თავდაპირველად სანქცირებული იყო სასამართლოს 2004 წლის 16 მაისის, 27 მაისისა და 11 აგვისტოს გადაწყვეტილებებით, 2004 წლის 13 ნოემბერი კი დადგენილ იქნა განსახილველი აღკვეთის ღონისძიების შეწყვეტის თარიღად. თუმცა, მომჩივნები ეჭვქვეშ აყენებენ მათი პატიმრობის ვადის გაგრძელებას, ამ უკანასკნელი თარიღის გადაცილებით, რაც მოხდა სასამართლოს 2004 წლის 10 ნოემბრისა და 2005 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილების საფუძველზე (იხ. პარაგრაფები 43 და 45). შესაბამისად, სასამართლოს მოეთხოვება მხოლოდ ამ ორ გადაწყვეტილებაში დასახელებული მიზეზების განხილვა.

124. 2004 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, სასამართლო აღნიშნავს, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლემ გაამართლა მომჩივანთა პატიმრობაში ყოფნის აუცილებლობა იმის განცხადებით (i) რომ, შესაძლო განაჩენის სიმძიმიდან გამომდინარე, არსებობდა მათი მიმალვის საფრთხე და (ii) რომ, როგორც საქმის მასალებიდან ჩანდა, მომჩივნებს შეეძლოთ, ხელი შეეშალათ გამოძიებისთვის. თუმცა მიმალვის საფრთხე არ შეიძლება შეფასდეს მხოლოდ და მხოლოდ შესაძლო განაჩენის სიმძიმის საფუძველზე და მისი შეფასება უნდა მოხდეს მთელ რიგ სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით (იხ. *Letellier v. France*, 26 June 1991, § 43, Series A no. 207, and *Khudoyorov*, cited above, § 181), რაც არ იქნა შეფასებული 2004 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებაში. რაც შეეხება სიმართლის დადგენისთვის ხელის შეშლის საფრთხეს, მიუხედავად იმისა, რომ ეს საფრთხე შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი ელემენტი თავისუფლების აღკვეთის დასაბუთებულობის შეფასებისას, სასამართლო კიდევ ერთხელ იმეორებს, რომ მისი არსებობა არ შეიძლება დადგენილი იქნეს აბსტრაქტული განცხადებების საფუძველზე, რომლებიც არ არის გამყარებული არანაირი არგუმენტებით (იხ. *Smirnova v. Russia*, nos. 46133/99 and 48183/99, § 63, ECHR 2003-IX (ამონარიდები)). თუმცა 2004 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილებაში ეს საფრთხე უბრალოდ პირდაპირ იქნა აღნიშნული, ყოველგვარი კავშირის გარეშე საქმის კონკრეტულ გარემოებებთან (შეადარეთ *Farhad Aliyev v. Azerbaijan*, no. 37138/06, § 192, 9 November 2010; *Panchenko v. Russia*, no. 45100/98, § 107, 8 February 2005, and *Rokhlina v. Russia*, no. 54071/00, § 68, 7 April 2005).

125. სასამართლო განსაკუთრებულად შემოფოთებულია, მომჩივანთა პასუხისგებაში მიცემისას, როგორ განიხილა და გაახანგრძლივა თბილისის საოლქო სასამართლომ, 2005 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებაში, მათი წინასწარი პატიმრობა. იმის ნაცვლად, რომ ეჩვენებინა „სათანადო გულმოდგინების“ უფრო მაღალი ხარისხი პატიმრობის ისეთი ხანგრძლივობის ფონზე, რომელმაც უკვე შეადგინა 12 თვეზე მეტი (შეადარეთ *G.K. v. Poland*, no. 38816/97, § 84, 20 January 2004), ეროვნულმა სასამართლომ გამოიტანა სტანდარტული, შაბლონური გადაწყვეტილება. ნაცვლად იმისა, რომ შეესრულებინა თავისი მოვალეობა გაგრძელებული პატიმრობის გასამართლებლად, დამაჯერებელი მიზეზების ჩამოყალიბების თვალსაზრისით (*ibid*), იგი დაეყრდნო წინასწარ დაბეჭდილ ფორმას და აბსტრაქტულ ტერმინებს (იხ. პარაგრაფი 45 ზემოთ). მაშინაც კი, თუ დავუშვებთ, რომ მოცემულ საქმეში შესაძლოა არსებულიყო მომჩივანთა თავისუფლების გახანგრძლივებული აღკვეთის გამამართლებელი კონკრეტული, მნიშვნელოვანი ფაქტები, ისინი არ ყოფილა ჩამოყალიბებული ეროვნულ დონეზე მიღებულ იმ გადაწყვეტილებაში, რომელზედაც აქ არის საუბარი და სასამართლოს ამოცანას არ

წარმოადგენს ეროვნული ხელისუფლების ჩანაცვლება და მის მაგივრად ამგვარი ფაქტების დადგენა (იხ. Nikolov v. Bulgaria, no. 38884/97, § 74, 30 January 2003, and Panchenko, cited above, § 105).

126. ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების საფუძველზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ გაითვალისწინეს მომჩივანთა საქმის კონკრეტული ფაქტები და 2004 წლის 10 ნოემბრისა და 2005 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებებში არსებითად მხოლოდ და მხოლოდ ბრალდების სიმძიმის საფუძველზე დაუჭირეს მხარი მომჩივანთა წინასწარ პატიმრობაში დატოვებას, იმ მიზეზებზე დაყრდნობით, რომლებიც, მუხედავად მათი „მნიშვნელოვნებისა“, არ შეიძლება ჩაითვალოს „საკმარისად“.

127. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას.

IV. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

128. მომჩივნებმა განაცხადეს, რომ პროკურორის 2004 წლის 5 ნოემბრის შუამდგომლობა, მათი წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე მათთვის არ გადაუციათ ამ შუამდგომლობის სასამართლოში – 2004 წლის 10 ნოემბრის განხილვამდე. მათ აღნიშნეს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც შემდეგნაირად იკითხება:

„ყველას, ვისაც დაკავებით ან დაპატიმრებით აღეკვეთა თავისუფლება, აქვს უფლება, მიმართოს სასამართლოს, რომელიც დაუყოვნებლივ განიხილავს მისი დაპატიმრების საკითხს და ბრძანებს მის გათავისუფლებას, თუ ეს დაპატიმრება უკანონოა.“

მისაღებობა

1. მხარეთა არგუმენტები

129. მთავრობამ განაცხადა, რომ მართალია, პროკურორის შუამდგომლობა მომჩივანთა წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე მათთვის წინასწარ არ გადაუციათ, მაგრამ 2004 წლის 10 ნოემბერს ჩატარდა ხსენებული შუამდგომლობის შესაბამისი სასამართლო განხილვა ზეპირი, შეჯიბრებითი მოსმენით, მომჩივანთა იურისტების თანდასწრებით. შესაბამისად, მომჩივნებს ჰქონდათ საკმარისზე მეტი შესაძლებლობა, წარმოედგინათ თავიანთი არგუმენტები შესაბამისი ეროვნული სასამართლოსთვის.

130. მომჩივნებმა უპასუხეს, რომ რადგანაც მათი პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე, პროკურორის შუამდგომლობის განხილვა სასამართლოში ჩატარდა შუამდგომლობის წარდგენიდან 5 დღის შემდეგ, არ არსებობდა საკმარისი დრო ამ საკითხზე მხარეთა წერილობითი შენიშვნების წინასწარი გაცვლის უზრუნველსაყოფად. მომჩივანთა ადვოკატებს უფრო ადრე რომ შეეტყობთ, თუ რა არგუმენტები იყო წარდგენილი პროკურორის შუამდგომლობაში, ისინი უკეთ მოემზადებოდნენ 2004 წლის 10 ნოემბრის ზეპირი მოსმენისთვის.

2. სასამართლოს შეფასება

131. სასამართლო იმეორებს, რომ მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს უფლება აქვს, მოახდინოს სასამართლო პროცესის ინიცირება სასამართლოს მიერ იმ პროცედურული და არსებითი პირობების განსახილველად, რომლებიც აუცილებელია მისი თავისუფლების აღკვეთის „კანონიერებისთვის“ მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის მნიშვნელობით. მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის აუცილებელი არ არის, მე-5 მუხლის მე-4 პარაგრაფით გათვალისწინებულ პროცედურას ახლდეს იგივე გარანტიები, რომლებიც მოითხოვება კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფით სისხლის სამართლის ან სამოქალაქო სამართალწარმოებისთვის, მას უნდა ჰქონდეს სამართლებრივი ხასიათი და ის უნდა აძლევდეს პირს გარანტიებს, რომლებიც შეესაბამება მოცემული თავისუფლების აღკვეთის ტიპს. იმის დასადგენად, უზრუნველყოფს თუ არა სასამართლო პროცესები „სამართალწარმოების ფუნდამენტურ გარანტიებს თავისუფლების აღკვეთის საკითხებში“, გათვალისწინებული უნდა იქნეს იმ გარემოებების კონკრეტული ხასიათი, რომლებშიც ტარდება ასეთი სასამართლო პროცესები (იხ. მაგალითად, Stanev v. Bulgaria [GC], no. 36760/06, § 171, ECHR 2012, and Włoch v. Poland, no. 27785/95, § 125, ECHR 2000-XI).

132. სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, წინასწარი პატიმრობის საკითხებზე სამართალწარმოება გადაუდებელი ხასიათის იყო და

სასწრაფოდ უნდა განხილულიყო (იხ. Patsuria v. Georgia, no. 30779/04, § 51, 6 November 2007). აღსანიშნავია, რომ იმის უზრუნველსაყოფად, რომ პატიმრობის პირველადი ვადების გაგრძელების შუამდგომლობებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები დაჩქარებულად ყოფილიყო მიღებული სსსკ-ის 163-ე მუხლის §2-ის თანახმად, ქვეყნის სასამართლოებს ჰქონდათ კანონით დაწესებული მხოლოდ ხუთდღიანი ვადა ამგვარი შუამდგომლობების განსახილველად (იხ. პარაგრაფი 86 ზემოთ). ამ სისწრაფის მოთხოვნის გათვალისწინებით, რომელიც, ყველაფერთან ერთად, კონვენციის მე-5 მუხლის § 4-ის ერთ-ერთ ძირითად პრინციპსაც წარმოადგენს, სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საოლქო სასამართლო, 2004 წლის 10 ნოემბერს მომჩივანთა წინასწარი პატიმრობის საკითხის შესწავლისას, არ იყო ვალდებული, უზრუნველყო ყველა მხარის დოკუმენტების წინასწარი გაცვლა ფოსტის საშუალებით, რადგანაც ამას შეიძლება გაერთულებინა მისი დავალება – კანონით დადგენილი 5 დღის ვადაში გადაწყვეტილების მიღება (შეადარეთ, mutatis mutandis, მსგავს ვითარებას ფაცურის საქმეში, მოხსენიებული ზემოთ, §52, ასევე Yavuz ავსტრიის წინააღმდეგ (დეკ.), №32800/96, 2000 წლის 18 იანვარი). ნებისმიერ შემთხვევაში, ეს სიტუაცია შეარბილა იმ გარემოებამ, რომ მომჩივანთა პატიმრობის ვადის გაგრძელების თაობაზე პროკურორის შუამდგომლობის სასამართლო განხილვა ჩატარდა 2004 წლის 10 ნოემბერს ზეპირი მოსმენით, რომელსაც ესწრებოდნენ მომჩივნები და მათი ადვოკატები და რომლებსაც, ამრიგად, ჰქონდათ საჭიროზე მეტი შესაძლებლობა, მოსმენის დროს გაცნობოდნენ პროკურორის შუამდგომლობას და გამოეხატათ თავიანთი შენიშვნები მასთან დაკავშირებით (იხ. იგივე ფაცურია, მოხსენიებული ზემოთ, §52).

133. ამ გარემოებებში სასამართლო მიიჩნევს, რომ კონვენციის მე-5 მუხლის §4-ის ფარგლებში გამოთქმული საჩივარი 2004 წლის 10 ნოემბრის სასამართლო განხილვის სამართლიანობის თაობაზე აშკარად უსაფუძვლოა და უარყოფილი უნდა იქნეს კონვენციის 35-ე მუხლის მე-3(ა) და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

V. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის სავარაუდო დარღვევა

134. ორივე მომჩივანმა იჩივლა, რომ მათ მიმართ წარმოებული სისხლისსამართლებრივი პროცედურები არასამართლიანი იყო იმის გამო, რომ პირველი მომჩივნისგან აღიარებითი ჩვენებისა და შესაბამისი განცხადებების მოპოვება წამების გზით მოხდა და მათ არ ჰქონდათ შესაძლებლობა, ესარგებლათ არჩეული ადვოკატების დახმარებით სამართალწარმოების ადრეულ ეტაპებზე. მათ მოიხმეს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი, რომელშიც მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ვკითხულობთ შემდეგს:

ყოველი ადამიანი...მისთვის წარდგენილი სისხლისსამართლებრივი ბრალდების საფუძვლიანობის გამორკვევისას, აღჭურვილია საქმის სამართლიანიგანხილვის უფლებით სასამართლოს მიერ...”

ა) მისაღებობა

135. სასამართლო აღნიშნავს, რომ ეს საჩივრები არ არის აშკარად უსაფუძვლო კონვენციის 35-ე მუხლის 3 (ა) ქვეპუნქტის მნიშვნელობით. გარდა ამისა ის აღნიშნავს, რომ ისინი არ არის მიუღებელი რაიმე სხვა მიზეზებით. შესაბამისად, საჩივრები მისაღებად უნდა იქნეს აღიარებული.

ბ) საქმის არსებითი გარემოებები

1. მხარეთა არგუმენტები

136. მთავრობამ გაიმეორა თავისი არგუმენტი, რომ 2004 წლის 13 მაისს, დაკითხვისას, პირველი მომჩივნის მიმართ ადგილი არ ჰქონია არასათანადო მოპყრობას (იხ. პარაგრაფი 101 ზემოთ). შესაბამისად, მან განაცხადა, რომ პირველმა მომჩივანმა საკუთარი ნებით აირჩია აღიარებითი ჩვენების მიცემა, მკვლელობის მცდელობაში მისი და მეორე მომჩივნის მონაწილეობასთან დაკავშირებით. მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მტკიცებულებათა მისაღებობა, პირველ რიგში, ეროვნული კანონმდებლობის ფარგლებში რეგულირების საკითხია და მომჩივანს მიეცა საშუალება, შედავებოდა მის წინააღმდეგ არსებულ მტკიცებულებებს შეჯიბრებითი განხილვისას, იურიდიული კონსულტაციის გამოყენებით. მისი არგუმენტების მოსმენის გათვალისწინებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუღებლად მიიჩნია გარკვეული მტკიცებულებები, თუმცა ამავედროულად დაადასტურა, რომ დანარჩენი მტკიცებულებები არ ყოფილა უკანონო გზით მოპოვებული, რაიმე მნიშვნელოვანი დარღვევის შედეგად (იხ. პარაგრაფები 72 და 75 ზემოთ). მთავრობამ განაცხადა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მისი მსჯავრდებისთვის მოყვანილი მიზეზები საკმარისი იყო და არ იყო აუცილებელი მომჩივნების დაცვის ყველა არგუმენტზე პასუხის გაცემა, მათ შორის ისეთებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო პირველი მომჩივნის სავარაუდო ალიბთან.

137. მთავრობამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირველი მომჩივნის თავდაპირველი აღიარება გამომძიებლის მიერ ადვოკატის არყოფნის პირობებში იქნა მოპოვებული, მაგრამ შემდგომში ეს განცხადებები პირველი ინსტანციის სასამართლო პროცესზე მიუღებლად იქნა გამოცხადებული. მომჩივანმა დაადასტურა თავისი წინა განცხადებები დანაშაულის ადგილზე მოვლენების სურათის აღდგენისას და მომდევნო განცხადებები გაკეთდა სახაზინო ადვოკატის თანდასწრებით. ამოცნობას, რომლის დროსაც დაზარალებულმა ამოიცნო პირველი მომჩივანი და რომელიც, მთავრობის განცხადების თანახმად, წარმოადგენდა ერთ-ერთ მთავარ საგამომიებო ღონისძიებას მოცემულ საქმეში, ასევე ესწრებოდა პირველი მომჩივნის სახაზინო ადვოკატი. პირველი მომჩივანი კმაყოფილი იყო ამ ადვოკატის მიერ, 2004 წლის 4 ივნისამდე გაწეული მომსახურების ხარისხით. თუმცა, ხსენებული თარიღისათვის, თხოვნა მისთვის ოჯახის მიერ შერჩეული ადვოკატის აყვანის თაობაზე დაუყოვნებლივ იქნა დაკმაყოფილებული. იგივე შეიძლება ითქვას მეორე მომჩივნის მიმართაც, რომელსაც თავდაპირველად არ მოუთხოვია მის მიერ არჩეული ადვოკატის დანიშნვა და შესაბამისად, დაკავების შემდეგ სახელმწიფოს მიერ დაენიშნა სახაზინო ადვოკატი.

138. მომჩივნებმა განაცხადეს, რომ რადგან პირველი მომჩივნის თავდაპირველი აღიარებითი ჩვენება მოპოვებული იქნა წამების გზით და ის მიცემულ იქნა ადვოკატის დასწრების გარეშე – მტკიცებულება, რომელიც შემდგომში მისი არაკანონიერების გამო მიუღებლად იქნა ცნობილი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ – კიდევ უფრო რთული გასაგები იყო, თუ რატომ არჩიეს შიდა სასამართლოებმა ამ განცხადებებზე დაყრდნობა, მაშინ როდესაც ისინი გამეორებულ იქნა დანაშაულის ადგილზე მოვლენების სურათის აღდგენისას. მომჩივნებმა ასევე განმეორებით დაადასტურეს, რომ პროცედურა, რომლის დროსაც დაზარალებულმა ამოიცნო პირველი მომჩივანი, ჩატარდა სერიოზული საპროცესო ხარვეზებით. გარდა ამისა, მომჩივნებმა განაცხადეს, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს რაიმე ლოგიკური პასუხის გაცემა პირველი მომჩივნის არგუმენტებზე იმასთან დაკავშირებით, რომ მას ალიბი გააჩნდა. მეორე მომჩივანმა ასევე განაცხადა, რომ თუმცა მას ფორმალურად დაენიშნა სახაზინო ადვოკატი, ამ უკანასკნელს სინამდვილეში არასოდეს მიუღია მონაწილეობა თბილისის პოლიციის სამმართველოში გატარებულ რომელიმე საწყის საგამომიებო ღონისძიებაში.

2. სასამართლოს შეფასება

(ა) ზოგადი პრინციპები

139. სასამართლო იმეორებს, რომ მის ფუნქციებში არ შედის იმის დადგენა, შეიძლება თუ არა იყოს მისაღები კონკრეტული მტკიცებულება. კითხვა, რომელსაც პასუხი უნდა გაეცეს, იმაში მდგომარეობს, იყო თუ არა მთლიანობაში სამართალწარმოება და მათ შორის მტკიცებულების მოპოვების გზა სამართლიანი. ეს მოიცავს სადავო უკანონობისა განხილვას და იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება კონვენციით გათვალისწინებული სხვა უფლების დარღვევას – დადგენილი დარღვევის ხასიათს (იხ. *Allan v. the United Kingdom*, no. 48539/99, § 42, ECHR 2002-IX). გარდა ამისა, განსხვავებული მოსაზრებები არსებობს სისხლის სამართალწარმოებაში ისეთი ღონისძიების შედეგად მოპოვებულ მტკიცებულებებთან მიმართებით, რომლებიც არღვევს კონვენციის მე-3 მუხლს. მე-3 მუხლის დარღვევით მოპოვებული განცხადებების საქმის მასალებში დაშვება სამართალწარმოებას მთლიანობაში ავტომატურად აქცევს უსამართლოდ, მე-6 მუხლის დარღვევით (იხ. *Harutyunyan v. Armenia*, no. 36549/03, § 63, ECHR 2007-VIII; *Jalloh v. Germany* [GC], no. 54810/00, §§ 99 and 105, ECHR 2006-IX, and *Fidancı v. Turkey*, no. 17730/07, § 34, 17 January 2012). ეს წესი ძალაშია განცხადებების მტკიცებულებითი ღირებულებისა და იმის მიუხედავად, ექნებოდა თუ არა მათ გამოყენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა მსჯავრდების უზრუნველსაყოფად *Gäfgen v. Germany* [GC], no. 22978/05, §§ 166-167 and 173, ECHR 2010, and *Ibrahim and Others v. the United Kingdom* [GC], nos. 50541/08 and 3 others, § 254, ECHR 2016). იგივე წესი ვრცელდება ასევე არასათანადო მოპყრობის ისეთი აქტის შედეგად მიღებული რეალური მტკიცებულებების გამოყენებისას, რომელიც საკმარისად სერიოზულია იმისთვის, რომ წამებად ჩაითვალოს (*Gäfgen*, მოხსენიებულია ზემოთ, §173). სასამართლო პროცესზე წამების შედეგად მიღებულ მტკიცებულებათა გამოყენება იქნებოდა სამართლიანობაზე უხეშად უარის თქმა არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მე-3 მუხლის საწინააღმდეგოდ მოპყრობის მსხვერპლი ფაქტობრივად ბრალდებულია, არამედ მაშინაც კი, როდესაც პირი, რომლისგანაც მტკიცებულება ამგვარად იქნა მიღებული, არის მესამე პირი (იხ. *El Haski v. Belgium*, no. 649/08, § 85, 25 September 2012). გარდა ამისა, სასამართლო იმეორებს, რომ ადრეული წვდომა ადვოკატზე წარმოადგენს საპროცესო გარანტიას თვითმხილებისგან დაცვის კუთხით და არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ფუნდამენტურ მექანიზმს (იხ. ანალოგიურად, *Salduz v. Turkey* [GC], no. 36391/02, §§ 54 and 55, 27 November 2008, and *Ibrahim*, cited above, § 255).

(ზ) ამ პრინციპების გამოყენება საქმის გარემოებებთან მიმართებით

140. სასამართლომ წინამდებარე საქმეში დაადგინა, რომ პირველი მომჩივნის თავდაპირველი აღიარება, რომლის დროსაც მან ასევე მისცა ჩვენება მეორე მომჩივნის დანაშაულში თანამონაწილეობის შესახებ, მისგან მოპოვებული იქნა ადვოკატის დასწრების გარეშე და არასათანადო მოპყრობის შედეგად, რომელიც წარმოადგენდა წამებას კონვენციის მე-3 მუხლის გათვალისწინებით (იხ. პარაგრაფი 109 ზემოთ). მომჩივნის ეს ჩვენებები საბოლოო ჯამში ამოღებული იქნა საქმის მასალებიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ და აღარ გამოყენებულა მომჩივნების მსჯავრდებისთვის. თუმცა, ამ ფაქტმა ვერ შეძლო საკმარისად აღმოეფხვრა პრობლემები სისხლის სამართალწარმოებაში, რომელიც გამოწვეული იქნა მე-3 მუხლით აკრძალული დაკითხვის მეთოდების გამოყენებით, რის შედეგადაც მოპოვებული იქნა პირველი და შემდგომი საგამოძიებო მოქმედებებისთვის ყველაზე გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულება *mutatis mutandis*, with *Stanimirović v. Serbia*, no. 26088/06, § 52, 18 October 2011, and *Shishkin v. Russia*, no. 18280/04, § 150-152, 7 July 2011). მართლაც, საქმის მასალებიდან ამ თავდაპირველი აღიარებითი ჩვენების ოფიციალურად ამოღებამდე, საგამოძიებო ორგანოები მთლიანად ეყრდნობოდნენ მას, როდესაც ეწინააღმდეგებოდნენ მომჩივანთა მრავალრიცხოვან მცდელობებს, ჩამოეყალიბებინათ და განეხილათ თავიანთი დაცვის სტრატეგია. მაგალითად, ძირითადად სწორედ ამ აღიარებითი ჩვენების საფუძველზე უთხრეს საგამოძიებო ორგანოებმა უარი პირველ მომჩივანს, მისი ალიბის გადამოწმებისთვის მიმართული ქმედებების განხორციელებაზე (იხ. პარაგრაფები 28, 29, 31 და 39).

141. თბილისის პოლიციის სამმართველოში წამებისა და დაკითხვის შემდეგ, პირველი მომჩივანი იმავე პოლიციელებმა დაუყოვნებლივ წაიყვანეს ვითარების სურათის აღსადგენად დანაშაულის ადგილზე, სადაც მან სიტყვასიტყვით გაიმეორა თავისი თავდაპირველი აღიარებითი ჩვენება, მათ შორის მითითება მეორე მომჩივნის თანამონაწილეობაზე. ეს მეორე აღიარებითი ჩვენება შემდგომში პირდაპირ იქნა გამოყენებული მსჯავრდების დროს, როგორც ორივე მომჩივნის წინააღმდეგ არსებული ერთ-ერთი მთავარი საბრალდებო ელემენტი (იხ. პარაგრაფები 75 და 76 ზემოთ). მიუხედავად იმისა, რომ პირველ მომჩივანს იმ დროისათვის უკვე დანიშნული ჰყავდა სახაზინო ადვოკატი და ეს უკანასკნელი ესწრებოდა მოვლენების სურათის აღდგენის პროცესს, საქმის მასალებიდან არ ჩანს, რომ პირველ მომჩივანს ოდესმე შესაძლებლობა ჰქონდა, წინასწარი კონსულტაცია გაეწყო ხსენებულ ადვოკატთან, სანამ გაიმეორებდა თავის აღიარებით ჩვენებას. უფრო მეტიც, იმ ფაქტმა, რომ პირველ მომჩივანს საკუთარი ჩვენებები იმავე პოლიციელების თანდასწრებით დაადასტურებინეს, რომლებსაც მან ბრალი დასდო წამებაში და რომ მოვლენების სურათის აღდგენის შემდეგ, ის უნდა დაბრუნებულიყო თბილისის პოლიციის სამმართველოში, ცალსახად გაუძლიერა მას დაუცველობისა და უმწეობის განცდა. ამ გარემოებებში, სასამართლო მიიჩნევს, რომ მოვლენების სურათის აღდგენისას, აღიარებითი ჩვენების ხელმეორედ მიცემა კვლავ იყო უკანონო, მანამდე განხორციელებული წამების გამო და ის ვერ იქნებოდა ქმედითი მტკიცებულება. ეროვნულ სასამართლოებს უნდა გამოეჩინათ მაქსიმალური ყურადღება და განმეორებით მიცემული ეს ჩვენებები უმკაცრესად შეემოწმებინათ, ვიდრე განახორციელებდნენ მათ დაშვებას (შეადარეთ, *mutatis mutandis*, *Harutyunyan*, cited above, § 65; *Hajnal v. Serbia*, no. 36937/06, § 114, 19 June 2012; *Stanimirović*, cited above, § 52, and also *Nechiporuk and Yonkalo*, cited above, § 265). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ შეიძლება იმის განცხადება, რომ არსებობდა წყვეტა მიზეზშედეგობრივ ჯაჭვში, რომელსაც მიყვავართ თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში პირველი დაკითხვისას გამოყენებული აკრძალული მეთოდიდან პირველი მომჩივნის მიერ დანაშაულის ადგილზე თავისი აღიარებითი ჩვენების გამეორებამდე, რომელიც შემდეგ პირდაპირ იქნა გამოყენებული მომჩივანთა მსჯავრდების უზრუნველსაყოფად და იქცა მათი განაჩენის საფუძვლად (შეადარეთ და დაუპირისპირეთ *Gäfgen* საქმეს, მოხსენიებულს ზემოთ, § 180).

142. ზემოაღნიშნული დასკვნები თავისთავად საკმარისია სასამართლოსთვის იმის დასადგენად, რომ პოლიციის მიერ პირველი დაკითხვისას ადვოკატის არყოფნაში, პირველი მომჩივნის მიმართ წამების გამოყენებამ გამოუსწორებლად საზიანო გავლენა იქონია სისხლის სამართლის პროცესის შედეგებზე და მთლიანობაში სამართალწარმოებას ორივე მომჩივნის მიმართ უსამართლო ხასიათი შესძინა (შეადარეთ *Kaçiu* და *Kotorriv* ალბანეთის წინააღმდეგ, *Kaçiu and Kotorri v. Albania*, nos. 33192/07 and 33194/07, §§ 118, 122 and 128-29, 25 June 2013 წლის 25 ივნისი, ანალოგიური სიტუაცია მაგალითად, სადაც წამების გამოყენებამ თანამონაწილისგან მამხილებელი ჩვენების მიღების მიზნით მომჩივნის საწინააღმდეგოდ, მომჩივნის მიმართ სამართალწარმოება უსამართლო გახადა). თუმცა სასამართლოს კვლავ სურს განიხილოს დაზარალებულის, პარლამენტის წევრის განცხადებები, რომლებიც ასევე გამოყენებული იქნა ქვეყნის სასამართლოების მიერ მომჩივანთა მსჯავრდების უზრუნველსაყოფად (იხ. პარაგრაფები 75 და 76 ზემოთ). აღსანიშნავია, რომ დაზარალებულმა პირველ მომჩივანში თავდამსხმელი ამოიცნო 2004

წლის 13 მაისის ამოცნობის დროს. მოგვიანებით, მან განაცხადა, რომ ჰქონდა „პირადი საუბარი“ ამოცნობიდან ცოტა ხნის შემდეგ, რომლის დროსაც პირველმა მომჩივანმა, მისი თქმით, აღიარა მის წინაშე დანაშაული და ბრალი დასდო მეორე მომჩივანს.

143. პირველ რიგში, სასამართლომ უნდა აღნიშნოს, რომ ამოცნობა ჩატარდა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 347-ე მუხლის მე-3 ნაწილის საპროცესო მოთხოვნის აშკარა უგულებელყოფით. კერძოდ, მაშინ როდესაც მითითებულ დებულებაში ნათლად არის აღნიშნული, რომ ექვემდებარების წარდგენა უნდა მოხდეს სამ სხვა პიროვნებასთან ერთად, „რომლებიც არ არიან შესამჩნევად განსხვავებულნი მათი გარეგნობის ან ჩაცმულობის თვალსაზრისით“, წინამდებარე საქმეში ადგილი ჰქონდა სრულებით საპირისპირო ვითარებას. მართლაც, ამოცნობისას იყო მნიშვნელოვანი გარეგნული განსხვავება პირველ მომჩივანსა და სხვა მონაწილეთა შორის – ეს ფაქტი ეროვნული სამართალწარმოებისას რამდენჯერმე აღნიშნა სხვადასხვა ადამიანმა და მას მთავრობა არ შედავებია სასამართლოს წინაშე. ეს მნიშვნელოვანი არგუმენტი ორივე მომჩივანმა წარმოადგინა დაცვის უფლების განხორციელებისას ეროვნულ სასამართლოებში, მაგრამ მათ არ გაუციათ პასუხი თავიანთ გადაწყვეტილებებში (შეადარეთ, *Laska and Lika v. Albania*, nos. 12315/04 and 17605/04, §§ 65-71, 20 April 2010, and *Popov v. Russia*, no. 26853/04, § 181, 13 July 2006, იმ შემთხვევების მაგალითად, როდესაც ამოცნობის ჩატარებამ შესაბამისი ეროვნული მოთხოვნების დარღვევით, დამოუკიდებლად თუ სხვა არგუმენტებთან ერთად, გამოიწვია სასამართლოს მიერ სამართლიანი სამართალწარმოების უფლების დარღვევის დადგენა).

144. მეორე ის, რომ, სასამართლოს აზრით, დაზარალებულის განცხადება იმის თაობაზე, თითქოს პირველი მომჩივანი გამოუტყდა მას მათი „კერძო საუბრისას“, რომელსაც არ ესწრებოდნენ ადვოკატი ან დამოუკიდებელი მოწმეები, არ ჰქონდა არანაირი მტკიცებულებითი ღირებულება იმავე მიზეზების გამო, რომლებიც ზემოთაა ნახსენები – კერძოდ, წამების ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტის გამო, რომელიც განხორციელდა პირველი მომჩივნის მიმართ რამდენიმე საათით ადრე (იხ. პარაგრაფი 141, ზემოთ შესაბამის მითითებებთან ერთად). და ბოლოს, სასამართლო აღნიშნავს, რომ არსებობდა საჭირო მინიმალური მტკიცებულებები იმ გონივრული ეჭვის მხარდასაჭერად, რომ დაზარალებულს, პარლამენტის წევრს, ჰქონდა რამდენიმე მცდელობა, რომლებიც მიზნად ისახავდა პირველი მომჩივნის იძულებას, შეენარჩუნებინა თავისი თავდაპირველი აღიარებითი ჩვენება (იხ. პარაგრაფები 26, 36-38, 41 და 70 ზემოთ). მიუხედავად იმისა, რომ მომჩივნებმა სათანადოდ გააჟღერეს საგამომიებო, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოებისადმი არსებული ყველა მნიშვნელოვანი საჩივარი და პირველი მომჩივნის მეუღლის მოსყიდვის მცდელობის საიდუმლო ჩანაწერის დემონსტრირებაც კი მოახდინეს პირველი ინსტანციის სასამართლოში (იხ. პარაგრაფი 71 ზემოთ), ოფიციალური ორგანოები აშკარად გულგრილი დარჩნენ იმასთან მიმართებით, რაც სინამდვილეში წარმოადგენდა დაზარალებულის მხრიდან მართლმსაჯულების განხორციელებისთვის ხელის შეშლის კარგად დოკუმენტირებულ საფუძველს.

145. გამომდინარე იქიდან, რომ ეროვნულმა ორგანოებმა ვერ მოახერხეს ადეკვატურად რეაგირება, მაგალითად, გამოძიების დაწყების გზით, მომჩივნების მიერ წამოყენებული სერიოზული ბრალდებების საფუძველზე, რომლებშიც საუბარი იყო დაზარალებულის (რომელიც იმ დროს მართლაც სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირს წარმოადგენდა) ორგანიზებით მათი დაცვის უფლებებში ჩარევაზე, მუქარებზე და მოსყიდვის მცდელობებზე, სასამართლო მიიჩნევს, რომ დაზარალებულის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლო პროცესზე გაკეთებული განცხადებების მტკიცებულებითი ღირებულება აშკარად დაბალი იყო. შესაბამისად, ეროვნული სასამართლოების მხრიდან ნაკლებად გამართლებული ქმედება იყო, ამ აშკარად უკანონოდ მოპოვებული ჩვენებების დაშვება, მსჯავრდების მიზნებისთვის (იხ. *mutatis mutandis*, *Grigoryev v. Ukraine*, no. 51671/07, §§ 86, 15 May 2012).

146. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ ზემოთ ჩამოთვლილმა ყველა სერიოზულმა საპროცესო დარღვევამ მომჩივნების წინააღმდეგ გამართული სასამართლო პროცესი მთლიანობაში უსამართლო გახადა. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის §1-ის დარღვევას.

VI. კონვენციის მოთხოვნების სხვა სავარაუდო დარღვევები

147. პირველმა მომჩივანმა კვლავ გაიმეორა თავისი საჩივარი 2004 წლის 13 მაისის არასათანადო მოპყრობისა და კონვენციის მე-13 მუხლის საფუძველზე, ადეკვატური გამოძიების არჩატარების შესახებ. შემდეგ, ორივე მომჩივანს პრეტენზია ჰქონდა, რომ მათ მიმართ წარმოებული სისხლის სამართლის საქმე მთლიანად უსამართლო იყო იმის გამო, რომ პირველ მომჩივანს არ მიეცა შესაძლებლობა, ესარგებლა მის

მიერ არჩეული ადვოკატის დახმარებით თბილისის პოლიციის სამმართველოში მისი პირველი დაკითხვისა და შემდგომი დაკავების დროს. ამასთან დაკავშირებით, მათ მიუთითეს კონვენციის მე-6 მუხლის 3 (გ) ქვეპუნქტზე, მე-6 მუხლის §1-თან ერთობლიობაში.

148. მთავრობა არ დაეთანხმა.

149. გაითვალისწინა საქმის გარემოებები, მხარეთა წერილობითი პოზიციები და მის მიერ კონვენციის მე-3 და მე-6 მუხლების §1-ის შესაბამისად გაკეთებული დასკვნები, სასამართლო მიიჩნევს, რომ მან შეისწავლა წინამდებარე საჩივარში მოცემული ძირითადი სამართლებრივი საკითხები და რომ არ არსებობს ცალკე გადაწყვეტილების გამოტანის საჭიროება დანარჩენი საჩივრების მისაღებობისა და არსებითი გარემოებების თაობაზე (იხ., სხვა მრავალ ავტორიტეტულ წყაროსთან ერთად, Centre for Legal Resources on behalf of Valentin Câmpeanu v. Romania [GC], no. 47848/08, § 156, ECHR 2014, with further references, and also Mitrov v. the former Yugoslav Republic of Macedonia, no. 45959/09, § 58, 2 June 2016).

VII. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

150. კონვენციის 41-ე მუხლი ითვალისწინებს:

„თუ სასამართლო დაასკვნის, რომ დაირღვა კონვენციით ან მისი ოქმებით გათვალისწინებული უფლება, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდა სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“

ა) ზიანი

151. პირველმა და მეორე მომჩივანმა მოითხოვეს, შესაბამისად, 150,000 ევრო და 60,000 ევრო (EUR) მორალური ზიანის ანაზღაურების სახით.

152. მთავრობამ განაცხადა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების სახით მოთხოვნილი თანხა იყო გადაჭარბებული.

153. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ საქმეში დაადგინა დარღვევების ერთობლიობა და აღიარებს, რომ მომჩივნებმა განიცადეს მორალური ზიანი, რომელიც არ შეიძლება ანაზღაურდეს არსებითად მხოლოდ დარღვევის ფაქტების გამოვლენის საფუძველზე. აქედან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს ადეკვატურად, რომ პირველ და მეორე მომჩივანს მიენიჭოს შესაბამისად 28,000 ევრო და 16,000 ევრო.

154. გარდა ამისა, სასამართლოს მიერ შიდა სამართალწარმოების უსამართლობასთან დაკავშირებით გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით, რამაც გამოიწვია მომჩივანთა მსჯავრდება მკვლელობის მცდელობის გამო, ასევე ამ საქმის კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე, სასამართლო მიიჩნევს, რომ განაჩენის გადასინჯვა, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს შესაძლებლობის სახით (იხ. Taktakishvili v. Georgia (dec.), no. 46055/06, §§ 22 and 23, 16 October 2012), მოთხოვნის შემთხვევაში, შეიძლება წარმოადგენდეს კონვენციის მე-6 მუხლის §1-ის დარღვევის გამოსწორების გზას (შეადარეთ, Nechiporuk and Yonkalo, cited above, § 297; Hajnal, cited above, § 150; and Levința v. Moldova, no. 17332/03, § 113, 16 December 2008).

ბ) ხარჯები და დანახარჯები

155. თითოეულმა მომჩივანმა მოითხოვა 2,400 ევროს ანაზღაურება, სასამართლოში საქმის წარმოების დროს მათი ორი წარმომადგენლის ხარჯების ასანაზღაურებლად. ამ მოთხოვნის დასასაბუთებლად მათ წარმოადგინეს 2005 წლის 20 აპრილით დათარიღებული ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება, რომლებსაც ხელს აწერენ მომჩივნები და ორი ადვოკატი. ამ ხელშეკრულების პირობების თანახმად, სასამართლოში პროცესის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, თითოეულ მომჩივანს უნდა გადაეხადა მისი ადვოკატისთვის ზემოხსენებული თანხები იურიდიული მომსახურების ჰონორარის სახით. ხელშეკრულებაში განსაზღვრული იყო, რომ იურიდიული მომსახურების ჰონორარს უნდა დაეფარა ყველა სახის ხარჯი, როგორცაა თარგმნასთან და საფოსტო მომსახურებასთან, ფაქსის გაგზავნასთან, მასალების ასლების გადაღებასთან, ადვოკატთა შესაძლო მივლინებებთან დაკავშირებული და სხვა ხარჯები.

156. მეორე მომჩივანმა დამატებით მოითხოვა 890 ევრო, რათა აუნაზღაუროს მის ოჯახს 2008 წელს კერძო სამედიცინო ექსპერტების მიერ, მისი ჯანმრთელობის სრულფასოვანი გამოკვლევის ორგანიზების

ხარჯები.

157. სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, მომჩივანი უფლებამოსილია ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურებაზე იმდენად, რამდენადაც ნაჩვენები იქნება, რომ ეს ხარჯები და დანახარჯები ფაქტობრივად და აუცილებლობიდან გამომდინარე იქნა გაწეული და გონივრული კომპენსაციის ფარგლებშია. წინამდებარე საქმეში, გათვალისწინებულ იქნა სასამართლოს ხელთ არსებული დოკუმენტები და ზემოაღნიშნული კრიტერიუმები, სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, არ აკმაყოფილებს მეორე მომჩივნის მოთხოვნას 2008 წლის სამედიცინო გამოკვლევის ღირებულების ანაზღაურების თაობაზე. მეორე მხრივ, წინამდებარე საქმის სირთულისა და ასევე, განხორციელებული სამართლებრივი სამუშაოს ხარისხისა და მოცულობის გათვალისწინებით, სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, მომჩივნებს ერთობლივად მიანიჭოს საჩივრით მოთხოვნილი თანხა 4, 800 ევროს ოდენობით სასამართლოში წარმოებული სამართალწარმოებისათვის.

გ) საურავი

158. სასამართლო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საურავის განაკვეთი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთით, რომელსაც უნდა დაემატოს სამი პროცენტი.

ამ მიზნით, სასამართლო ერთხმად

1. აცხადებს მისაღებად კონვენციის მე-3 მუხლით, მე-5 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით და მე-6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საჩივრებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

(i) 2004 წლის 13 მაისს პოლიციის მიერ პირველი მომჩივნის მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა;

(ii) 2005 წლის 13 იანვრიდან 2005 წლის 7 ივნისამდე ორივე მომჩივნის წინასწარი პატიმრობის არაკანონიერება;

(iii) 2004 წლის 10 ნოემბრისა და 2005 წლის 7 ივნისის პატიმრობის დადგენილებებში საკმარისი საფუძვლების არარსებობა;

(iv) მომჩივნების მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების არასამართლიანობა.

2. აცხადებს მიუღებლად კონვენციის მე-3 მუხლითა და მე-5 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ საჩივრებს შესაბამის დაწესებულებებში, ორივე მომჩივნის პატიმრობის პირობებისა და 2004 წლის 10 ნოემბრის სასამართლო განხილვის სამართლიანობის თაობაზე;

3. ადგენს, რომ 2004 წლის 13 მაისს პოლიციის მიერ პირველი მომჩივნის წამების შედეგად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის როგორც არსებითი, ასევე პროცედურული ნაწილები;

4. ადგენს, რომ 2005 წლის 13 იანვრიდან 2005 წლის 7 ივნისამდე მომჩივანთა წინასწარი პატიმრობის არაკანონიერების გამო დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტი;

5. ადგენს, რომ 2004 წლის 10 ნოემბრისა და 2005 წლის 7 ივნისის პატიმრობის დადგენილებებში საკმარისი საფუძვლების არარსებობის გამო, დაირღვა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი;

6. ადგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი მომჩივნების მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების არასამართლიანობის შედეგად;

7. ადგენს, რომ არ არის აუცილებელი, განხილულ იქნეს ორივე მომჩივნის საჩივრების მისაღებობა და საქმის არსებითი გარემოებები მე-6 (3) (გ) ქვეპუნქტის შესაბამისად, მე-6 მუხლის პირველ პუნქტთან ერთობლიობაში, ისევე როგორც პირველი მომჩივნის საჩივრისა – კონვენციის მე-13 მუხლის შესაბამისად;

8. ადგენს

(ა) რომ მოპასუხე სახელმწიფო ვალდებულია, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადაუხადოს მომჩივნებს შემდეგი თანხები, მოპასუხე სახელმწიფოს ვალუტაში, ანგარიშსწორების დღეს არსებული კურსის გათვალისწინებით:

(i) 28,000 (ოცდარვა ათასი) ევრო და 16,000 (თექვსმეტი ათასი) ევრო მორალური ზიანისათვის, შესაბამისად პირველ და მეორე მომჩივანს, რაც გათავისუფლებული იქნება ნებისმიერი გადასახადისაგან, რომელიც შესაძლოა დაეკისროს მომჩივნებს;

(ii) 4,800 (ოთხი ათას ოთხასი) ევრო მომჩივნებს ერთობლივად, ხარჯებისა და დანახარჯების ანაზღაურების სახით, რაც გათავისუფლებული იქნება ყველა გადასახადისაგან, რომელიც შესაძლოა დაეკისროს მომჩივნებს;

(ბ) ზემოთ აღნიშნული სამთვიანი ვადის ამოწურვიდან გადახდის განხორციელებამდე, გადასახდელ თანხას დაერიცხოს გადაუხდელობის პერიოდში არსებული ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი საპროცენტო განაკვეთი, რასაც დაემატება 3 პროცენტი;

9. უარყოფს მომჩივნის პრეტენზიებს სამართლიანი დაკმაყოფილების დანარჩენ ნაწილში.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და წერილობით ეცნობა მხარეებს 2017 წლის 1 ივნისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე წესის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

მილან ბლაშკო ანგელიკა ნუსბერგერი

სექციის განმწესრიგებელი მოადგილე თავმჯდომარე